# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№14 ◆ 18-25 ივლისი A & B ◆ ფასი 1 000 მან. შ. კ ◆ A & B დაარსებულია 1995 წ.


„შეიძლება თუ არა, რომ საქართველომ მიზნად დაისახოს მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა მას შემდეგ, რაც მან თავისი საუკეთესო ნავთსადგური და თავისი უძველესი პროვინციები დაჰკარგა? ეს იქნებოდა ნებაყოფლობითი კასტრაცია...“

გერონტი ქიქოძე
„საქართველო“, 1918 წელი

## პირამიდა

უფასო დამატება „კვირის პალიტრის“ მკითხველისათვის



„მე გორბაჩოვს ვადანაშაულებდი თბილისში 89 წლის 9 აპრილს უდანაშაულო ხალხის მკვლელობაში“.

ტერორისტი შმონოვი

↳ გვ. 5

## „ცივი ომი“ ნავთობისათვის

„თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა აზერბაიჯანის მეზობლებს — საქართველოსა და სომხეთს თავს მოახვია თავიანთ ტერიტორიებზე რუსეთის ჯარისა და ბაზების 25 წლიანი ვადით განლაგების ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი სამხედრო ბაზა იქნება ბათუმში, აზერბაიჯანული ნავთობის ტრადიციულ გადასაზიდ პუნქტში ...“

„"რუსეთის პროექტი" ყველასათვის ცხადია, მიზნად ისახავს, ხელიდან არ გაუშვას ნავთობგამტარ ტრასებზე კონტროლი და რა თქმა უნდა, შეეცდება ხელი შეუშალოს „შავი ოქროს“ გადაადგილებას; მის ხელთ არის საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, კონფლიქტების გამძაფრება ...“

„ცაიტი“

↳ გვ. 6

„ახალი კონფლიქტი გვჭირდება, ახალი ანტი-ჩაპაევი, რომელიც მთელს კავკასიაში ირბენს და ჯარისკაცებს თავისი დროშის ქვეშ დარაზმავს.“

ვლადიმირ ჟირინოვსკი
„სობესედნიკი“

„თურქეთის სიტყვა აზერბაიჯანისთვის ყოველთვის ძვირად ფასობდა და მით უფრო დღეს, როდესაც აზერბაიჯანის ხელისუფლება უახლოეს მეზობელს მოიხსენიებს, როგორც „მოძმე ქვეყანას“.

თურქეთი თვლის, რომ მაგისტრალური ნავთობსადენების გაყვანის საუკეთესო ვარიანტი თურქეთის ტერიტორიაა, ხოლო პირველი ეტაპის, ადრეული ნავთობის გადაქაჩვის ყველაზე მისაღები — ქართული ვარიანტი ...“

„კომსომოლსკაია პრავდა“ №126



„ФСК-ს და ГРУ-ს პროფესიონალი ოფიცრები, რუსული იარაღი და რუსი დაქირავებული ჯარისკაცი რომ არა, აფხაზეთი საკუთარი ძურებით ვერ იხილავდა გამარჯვებას ...“ — გვიამბობს აფხაზეთში ნაბრძოლი რუსი „დაქირავებული“.

↳ გვ. 3

Аргументы и факты
ყოველკვირეული ახალი თაობა
დრონი
Золотая середина
USA Today
კავკასიონი
daily
Комсомольская правда
მეგობარი
МК
Московские новости
Newsweek
Огонёк
საქართველოს რესპუბლიკა
Собеседник
Super
Скандалы
TIME
stern

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა

**13-15 ივლისს, თბილისში, ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ". მსოფლიო კულტურის მოღვაწენი თვლიან, რომ მათი დიალოგი არ ჩაიხშობა ომის გრუხუნში.**

■ მაისის სხდომაზე პარლამენტარ დავით კუპრეიშვილის ნათქვამმა, თითქოს საქართველოდან გაშვილებულ ბავშვებს ორგანოების დონორებად იყენებენ, საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მაინც, როგორ ხდება ავადმყოფი ბავშვის გაშვილება? ვინ არის მათ ბედზე პასუხისმგებელი? ამ, და სხვა საინტერესო კითხვებზე ვთხოვეთ ესაუბრათ ადამიანებს, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულნი არიან ამ საქმესთან.

დალი სახოკია - აშშ სააგენტო „ფრენკის" წარმომადგენელი.

დღეს მსოფლიოში შვილად აყვანის საერთაშორისო პრაქტიკა საყოველთაოდ ცნობილია. ცივილიზებულ ქვეყანაში ეს პროცესი ჰააგის კონვენციით (1961 წლის 5 ოქტომბრის) რეგულირდება. გაშვილების ერთადერთი მოტივი ბავშვის ინტერესებია.

თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში არის გაშვილების სპეციალური საერთაშორისო დეპარტამენტი, რომელიც მომავალი მშობლებისათვის შვილად აყვანის ნებართვის გაცემას და შვილად აყვანილი ბავშვის მდგომარეობას აკონტროლებს.

შვილად აყვანის ნებართვის მიღება ძალიან რთულია. მომავალი მშობლების დოსიეს შედგენას თითქმის ერთ წელს უნდებიან. უცხოელი ბავშვის აყვანისათვის საჭიროა ხელისუფლების ნებართვა, დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა, პოლიციის ცნობა, რომ აღნიშნული მოქალაქეები პოლიციის კარტოთეკაში არ ირიცხებიან, სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობები ოჯახის წლიური შემოსავლის შესახებ და იმაზე, თუ რამდენად სტაბილურია ეს შემოსავალი, ხელისუფლების შუამდგომლობა და გამშვილებელი ქვეყნის ხელისუფლების წინაშე გარანტიები იმ ოჯახის შესახებ, ვისაც ბავშვის შვილად აყვანა სურს, ვრცელი ანგარიში, რომელსაც ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ფსიქოლოგი და სოციოლოგი წერენ. აღსანიშნავია, რომ საბუთების შეგროვება საკმაოდ ძვირადღირებულია, რადგან ყოველი საბუთი ნოტარიუსის დამოწმებას საჭიროებს. ეს კი ძალიან ძვირია, ისევე, როგორც ფსიქოლოგის და სოციოლოგის შრომის ანაზღაურება. ყველა ეს საბუთი და ნებართვა ერთი წლით გაიცემა და ამიტომ, ყოველ წელს უნდა განახლდეს.

რადგან გასაშვილებელი ბავშვის მოძებნა ძნელია, ცდილობენ სხვა ქვეყანაში ეძებონ, რაზედაც არსებობს სპეციალური კანონი. ბევრი გასაშვილებელი ბავშვია რუსეთში, ბოლო დროს საქართველოსაც ეტანებიან, ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ ამ სახელმწიფოებში მკაცრად არის დადგენილი შვილად აყვანის პროცედურა.

შვილად აყვანის გაფორმების კანონზომიერება უპირველესი მოთხოვნაა ისეთი ქვეყნების კოდექსების მიხედვით, როგორიცაა აშშ, კანადა, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, იტალია. განსაკუთრებით ბევრი მსგავსებაა ჩვენს კანონმდებლობასა და კანადის პროვინციის - კვებეკის კანონმდებლობას შორის.

საქართველოდან შვილად აყვანილი ბავშვის საქმის კანონიერებას იხილავს კვებეკის სასამართლო, ამიტომაც გამოითხოვს ჩვენი კოდექსი. საბოლოო დამტკიცება რომ მოხდეს, სულ ცოტა 6 თვე მაინც უნდა გავიდეს. ამასობაში ხელისუფლების წარმომადგენელი ამოწმებს, რამდენად შეეგუა ბავშვი ოჯახს, როგორ უვლიან მას და ანგარიშით წარსდგება სასამართლოს წინაშე, რომელსაც მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს შვილად აყვანის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე უცხოელი ბავშვი, რომელიც 6 თვე ემიგრანტად ითვლებოდა და აგრეთვე, სამიგრაციო ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ იყო, კანადის სრულუფლებიანი მოქალაქე ხდება. საერთაშორისო შვილად აყვანის დეპარტამენტი კი მაინც განაგრძობს მეთვალყურეობას. ბავშვმა იცის, რომ ის შვილად არის აყვანილი. თავის მხრივ გამშვილებელ ქვეყანას საშუალება აქვს გაშვილებულ ბავშვებზე სრული ინფორმაცია მიიღოს. ეს შეიძლება გაკეთდეს სამინისტროებისა და იმ სააგენტოების საშუალებით, რომლებიც მთავრობების მიერ არიან ლიცენზირებული ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ.

მომავალი მშობლები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი რამ გაიგონ გამშვილებელ ქვეყანაზე, რომ მერე ბავშვებს უამბონ სამშობლოს შესახებ. მათი აზრით ბავშვებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ თავიანთი წარმოშობის შესახებ. ეს ფსიქოთერაფევტების საერთო დებულებაა, ამას უწოდებენ „თვითიდენტიფიკაციის შენარჩუნებას".

**ბოლო დროს ჩვენთან გავრცელებული ჭორები, რომ ბავშვები მიყავთ ორგანოების გადასანერგად, აბსურდულია და მხოლოდ უვიცობით შეიძლება აიხსნას:**

ჯერ ერთი, პატარა ბავშვების ორგანოების გადანერგვა სამედიცინო პრაქტიკაში არ არსებობს. მეორე, შვილად აყვანა იმდენად ძვირი ჯდება (ნოტარიუსი, სასამართლო, სამედიცინო შემოწმება, ფსიქოსოციოლოგიური დასკვნა, გზა), რომ ორგანოების ფასს აღემატება, ასე რომ, ამ მიზნით შვილად აყვანას უკვე აზრი აღარ აქვს.

მესამე, განვითარებულ ქვეყნებში ლეგალურად შეყვანილ ბავშვს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, რადგან მას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ამ ქვეყანაში დაბადებულ ბავშვებს.

„მშვიდობა ყოველთა" № 4

## თბილისში „ობეხესობანა" დამთავრებულია

### მეწარმეებს უყურებენ, როგორც მეწველ ძროხას.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მეწარმეობის შესახებ. გარდა ამისა, თებერვლის თვეში გამოვიდა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება საქართველოში წარმოების განვითარების შესახებ. ამ დოკუმენტის საფუძველზე თბილისის მერიასთან შეიქმნა მაკოორდინირებელი კომისია. ქალაქის პოლიციის მთავარ სასამართლოში გაიმართა მეწარმეებთან შეხვედრა. თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ საგადასახადო ინსპექციის გარდა მერის თანხმობის გარეშე არავის შეუძლია შემოწმების ჩატარება. თბილისში „ობეხესობანა" დამთავრდა - განაცხადა ლეკიშვილმა და დასძინა, რომ თბილისის საწარმოების პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია შემოწმებისა და გადასახადების გამო. ამიტომაც, ლეკიშვილმა სამართალდამცავი ორგანოების თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა. სიტყვით გამოვიდა ბესიკ ჯუღელი - საქართველოს მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტი. მან ზემოთ აღნიშნულ დადგენილებას არასწორი უწოდა, რადგანაც მასში არსებული პუნქტები ერთმანეთს გამორიცხავს. ჯუღელის თქმით, დადგენილების პროექტი მეწარმეებმა შეიმუშავეს, ხოლო საბოლოოდ - მისი მთლიანად შეცვლილი ვარიანტი დამტკიცდა. ჯუღელის აზრით, საქართველოში წარმოება არ განვითარდება, რადგანაც ვისაც და როგორც სურს, იმ დადგენილებების შესაბამისად ითხოვს კერძო მეწარმის შემოწმებას და ეს ხშირ შემთხვევაში ხდება თანხის გამოძალვის მიზნით. შეხვედრაზე მეწარმეებმა დასვეს „ობეხესის" (ახლა მას რეკეტის, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის სამსახური ჰქვია.) საკითხი. ადრე ეს სამსახური სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტებს იძიებდა. ამჟამად კი, კერძო მესაკუთრეთა შემოწმება ამ სამსახურის მიერ უკანონოა. ხოლო რეკეტზე და კორუფციაზე დაჭერილი კაცი, როგორიც ქალაქის მერმა თქვა, ჯერ არავის უნახავს. შეხვედრაზე ითქვა, რომ „მეწარმეს უყურებენ, როგორც მეწველ ძროხას". საწარმოების გაძლიერებასთან ერთად ძლიერია ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგობა, რაც წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორია. თბილისის პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ ჩამოთვალა ის საწარმოები, რომლებიც არასწორად იქნა შეფასებული და ამის გამო, მილიონობით დოლარის სახელმწიფო ქონება მიზერულ თანხებში გაიყიდა. თუ პრივატიზაციის დროს კომისიის პროცესში მოხდა დარღვევები, მაშინ იმ პირების მიმართ იქნას სისხლის სამართლის საქმე აღძრული, ვინც შედიოდა კომისიაში შეფასების დროს. ამჟამად კი, ჯუღელის თქმით, არავის არა აქვს უფლება, თვით პროკურატურასაც კი, პრივატიზებული საწარმოს ხელმეორედ შემოწმება, რაც წარმოებას მთლიანად შეაჩერებს. ამ პოლიტიკას ჯელელმა მაკონტროლებელი ორგანოებისაგან „ჩასაფრებული" უწოდა.

„რეზონანსი" №72
იბეჭდება შემოკლებით

## რუსეთის გარდა საქართველოში ვერავინ შევა



რუსეთის სათათბიროს წევრმა ზატულინმა საკანონმდებლო ორგანოში წინადადება შეიტანა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთს მოეხსნას ემბარგო რუსეთისაგან და გამოეყოს დიდი რაოდენობით ფულადი დახმარება. ამის საფასურად ლაპარაკია ლტოლვილების დაბრუნებაზე გალის რაიონში.

შუმეიკომ აღნიშნა, რომ არძინბა არის ის პოლიტიკოსი, რომელსაც იზოლაცია უნდა გაუკეთდეს. პრესკონფერენციაზე, განმარტების დროს, მან თქვა: არძინბა არის სეპარატისტი და გენოციდის მომწყობი, მასთან მოლაპარაკებაა საჭირო, როგორც ამას რუსეთის მხარე აკეთებს ჯოჰარ დუდაევთან.

ქართველები ყოველმხრივ კარგი ხალხი ვყოფილვართ. მთავარია, რომ ჩვენ მოვიცილეთ დიქტატორი, რომელიც რუსეთს მტრად თვლიდა, ახლა კი მსოფლიო დონის უძლიერესი პოლიტიკოსი გვყავს სათავეში. ასეთი პოლიტიკოსები თითზე ჩამოსათვლელია ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სამი არის რუსეთში: ელცინი, იაკოვლევი და ომსკის გუბერნატორი, ამიერკავკასიაში კი შევარდნაძე და ალიევი. შუმეიკომ აღნიშნა, რომ იგი დადებითად აფასებს რუსული ბაზების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე. თურმე რუსული არმია საქართველოს ეკონომიკურ სუვერენიტეტს იცავს. **„საქართველოში რუსული ბაზების არსებობა მთელს მსოფლიოს აფრთხილებს - არ გაეკაროთ ამ ტერიტორიას. იგი ჩვენს მიერ არის დაკავებული!"** - აღნიშნა შუმეიკომ. ამერიკის პრეზიდენტი ქლინტონი თავის ჯარისა და საჰაერო ძალების გაძლიერებით ცდილობს დაიცვას ამერიკელი საქონლის მწარმოებლები და მოიპოვოს დიდი ბაზარი ამერიკული პროდუქციისათვის. „ჩვენ აქ მესამე მხარე არ გვჭირდება, მე არ მომწონს, რომ ისინი ჭკუას გვასწავლიან, თუ სად უნდა გაიაროს კასპიის ნავთობმა, მე მიმიფურთხებია ამერიკელი საქონელმწარმოებლების ინტერესებისათვის" - თქვა შუმეიკომ.

„ახალი თაობა" № 44

## პოზიცია-ოპოზიცია და ის, რაც მათ შორის დგას!

### არაამბიციური პარლამენტარები – აკაკი ბობოხიძე

არ ვეთანხმები აზრს, თითქოს პარლამენტმა თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა. იმიტომ კი არა, რომ მისგან რაიმეს ველოდები, უბრალოდ, მას ეს შესაძლებლობები არ გამოუყენებია და მომავალშიც ალბათ ვერ გამოიყენებს, ან არ გამოიყენებს, რაც უმრავლესობის ნებით ხდება. პარლამენტს საოცრად დიდი უფლებამოსილება აქვს, მაგრამ ამ ძალის გამოყენებას დეპუტატების პიროვნული სურვილი სჭირდება. სამწუხაროდ, პარლამენტართა უმრავლესობამ, სახელმწიფოს მართვის მიმართ აბსოლუტურად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. მათ არა მხოლოდ უფლებებზე თქვეს უარი, არამედ მოვალეობებზეც და ის ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცეს. სამწუხაროდ, პარლამენტის უფლებებზე მაღლა დეპუტატები პიროვნულ ურთიერთობებს აყენებენ.

საერთოდ ქართველები განთქმულნი არიან თავიანთი ამბიციურობით. პარალმენტის წევრები კი სრულ არაამბიციურობას ავლენენ. რა თვალსაზრისით? არათუ დამატებით უფლებებს ითხოვენ, თავის უფლებებზეც კი არ აცხადებენ პრეტენზიებს. მათთვის მთავრია ერთი რამ: შეინარჩუნონ უფროსის, ამ შემთხვევაში ედუარდ შევარდნაძის და ჩვენზე ქვემოთ მდგომი მინისტრების კეთილგანწყობა, პარლამენტართა უმრავლესობამ პარლამენტისა და საკუთარი ღირსება სწორედ ამაზე გაცვალა.

ოპოზიცია არ არის ერთგვაროვანი ძალა და, ალბათ, არც ოპოზიციურია ბოლომდე. ბ-ნი აკაკი ასათიანი, რამდენადაც ვიცი, თავს არც თვლის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ძალად. უფრო მეტიც, ის თვლის, რომ ამ ეტაპზე, ტრადიციონალისტთა კავშირის შეხედულებები ემთხვევა სახელმწიფო მეთაურისა და სმკ-ს შეხედულებებს. ამჟამად, ბატონი აკაკი თვლის, რომ ის არის არა ოპოზიციურად განწყობილი ძალა, არამედ პირიქით - მოთანამშრომლე დღევანდელ ხელისუფლებასთან. დღევანდელი ხელისუფლების მიმართ კომუნისტური პარტიაც ოპოზიციურად არის განწყობილი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, პირიქით, ჩვენ ბევრად უფრო რადიკალურ პოზიციებზე ვდგავართ, ვიდრე, ვთქვათ, ჩვენ და ჩვენ შორის მოქცეული სმკ. მიგვაჩნია, რომ ოპოზიციურობას კომუნისტებსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის განსაზღვრავს არა პოზიციათა არათანხვედრილობა, არამედ მოსკოვიდან მიღებული დავალება. ამ ჯგუფს სხვა პატრონი ჰყავს, მათ სხვა. ჩვენი ოპოზიციონერობა კი წმინდა იდეოლოგიური თუ პროგრამული არათანხვედრილობითაა განპირობებული.

ზოგჯერ პარლამენტი ძალიან ცუდ გადაწყვეტილებებს ღებულობს. იგივე იმ ოპოზიციური პარტიების დახმარებით, ვინც რაღაც ეტაპამდე ოპოზიციონერია. მაგრამ მოულოდნელად სახელმწიფოს მეთაურის ბანაკში აღმოჩნდება. განსაკუთრებით ეს იგრძნობა მაშინ, როცა უმრავლესობა იღებს ანტიქართულ, უფრო სწორედ, პრორუსულ გადაწყვეტილებას.

მოქალაქეთა კავშირი პირველ რიგში ჭირდებათ მათ, ვინც ამ გაერთიანებაშია გაწევრიანებული. მათი მხარდაჭერა ედუარდ შევარდნაძის მიმართ განპირობებულია გარკვეული სოციალური მდგომარეობის მოპოვების შანსით და არა მისი პიროვნებისადმი პატივისცემით. ამიტომ, მათი დამოკიდებულება არის ღია და გულწრფელი. ისინი მართლა მხარს უჭერენ შევარდნაძეს, როგორც მათთვის სოციალური კეთილდღეობის მოპოვების საშუალებას.

დაპირისპირებას ვახტანგ გოგუაძესა და ვახტანგ რჩეულიშვილს შორის საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს, იგი პარლამენტის მუშაობის დაწყების პირველსავე თვეებიდან გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან გოგუაძე ბატონი ედუარდის თავგამოდებულ მომხრედ აცხადებდა თავს. იგი არის პირი, რომელიც შევარდნაძის გვერდის ავლით გავიდა მოსკოვზე. ჩვენი სპიკერი არც მალავს მოსკოვთან კავშირის აუცილებლობას.

საქართველოში ამა თუ იმ ადამიანებისა და ამა თუ იმ ჯგუფების ხელისუფლებაში ყოფნის ხარისხსა და მდგომარეობას, გარკვეულ წილად, მოსკოვის წრე განსაზღვრავს. როგორც ჩანს, ბატონი გოგუაძე დამოუკიდებლად არის გასული ამ წრეებთან. რჩეულიშვილი სპიკერატში შევარდნაძის სერიოზული მხარდამჭერი აღმოჩნდა.

მიუხედავად სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკისადმი რჩეულიშვილის აქტიური თავგამოდებისა, შევარდნაძის მმართველ ვიწრო წრეში ის მაინც არ შედის და მას არც კი ახედებენ ხელისუფლების სამზარეულოში. სამაგიეროდ, წარმატებით იყენებენ პარლამენტზე ზემოქმედებისათვის. ეტყობა, რჩეულიშვილი თავის როლში გარკვეულ კომპენსაციას ღებულობს!

„ალია საქართველოდან" №' 31
იბეჭდება შემოკლებით

# ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითაც წარსწყმდენ“

**მათე 26,52**



ზღვარი დაქირავებულ ჯარისკაცსა და მკვლელს შორის არ არსებობს. ბუდიონოვსკის ტრაგედია რუსული დამქირავებლობის კანონზომიერი ეტაპია. შამილ ბასაევის რაზმმა საბრძოლო ნათლობა 1993 წ. აფხაზეთში მიიღო, წარმმართველი რუსეთის გენშტაბი გახლდათ. ბასაეველების არაადამიანურ, ველურ სისასტიკეზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ლეგენდები დადიოდა: თითქოს მტრის სისხლს ჭიქებით სვამდნენ, შემოილეს წამების ახალი სახეობა — „ჩეჩნური ენა“ — ამას, ყოველივეს, მრავალგზის აჩვენებდნენ ტელეეკრანებზე, წერდნენ პრესაშიც, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება და სპეცსამსახურები გულგრილნი რჩებოდნენ ჩეჩნების ულმობლობისადმი, რისთვისაც რუსეთმა ზღო, უფრო სწორედ, სტავროპოლის მხარის პატარა ქალაქმა. ბასაევმა თვალსაჩინო გახადა, როგორ იქცევა დაქირავებული გამოუვალ მდგომარეობაში — იარაღი მფარველებისაკენ, მასწავლებლისაკენ უნდა მიმართო.

დაქირავებულობის ეპოქას გარდაუვლად მოსდევს ტერორიზმი. როცა მთავრდება „ლოკალური ომები“, მოთხოვნა ჯარისკაცებზე სუსტდება, რა ქნას მკვლელად აღზრდილმა? სწორედ ამას უპასუხა შამილ ბასაევმა თავისი რაზმიანად, ახლა ბევრ „განაწყენებულ“ რესპუბლიკას გაუჩნდა ცდუნება, ერთი დარტყმით, ერთი მოქნევით გადაჭრას თავისი პრობლემები.

დაქირავებულების გამოყენება ყველაზე ბინძურ საქმეში მიმზიდველია სახელმწიფოსათვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ჯამში რომელიმე მიზანს შეიძლება მიაღწიო, მაგრამ დაქირავებული ხომ რჩება, რჩება ქვეყნის პირისპირ, იგი აღზრდილი და ჩამოუყალიბებელია მკვლელად.

...სერგეი ბარანოვი დაქირავებული ჯარისკაცია. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ერთ მშვენიერ დღეს იგი აფხაზეთში აღმოჩნდა...

– დამქირავებელმა ამიხსნა, რომ საჭიროა ერთ მუშტად შეკვრა, რომ მის პატარა ქვეყანას საქართველოდან დიდი საფრთხე ემუქრებოდა. უფრო სპორტული ინტერესით დავთანხმდი. აფხაზეთში რომ ჩამოვედი, ვნახე, რომ ჩემნაირები თავზესაყრელი იყო, დიდი ნაყარ-ნუყარა ხალხი, მაგრამ მაგარი ტიპებიც იყვნენ, ყოფილი მებრძოლი ოფიცრები. ბიჭები ГРУ-დან (მთავარი სადაზვერვო სამმართველოდან) და ФСК-დან (კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახური). წარმართავდნენ ჩვენს მოქმედებას, აღგვაგზნებდნენ, მორალურად გვამხნევებდნენ, ისინი პროფესიონალები იყვნენ.

იარაღი ადგილზე მომცეს, აფხაზეთში იარაღის პრობლემა არ არსებობს, რუსეთმა ყელამდე აგვავსო, იქ ისეთი დანადგარები ვნახე, რეგულარულ ჯარში თვალიც რომ არ მომიკრავს, სხვა „წვრილმან“ საჭურველს თვლა არ ჰქონდა. რუსული იარაღი და რუსი ოფიცრები .რომ არა (აქ ყველას ვგულისხმობ: დაქირავებულ ჯარისკაცებს, მრჩევლებს, სპეცსამსახურის აგენტებს), აფხაზეთი საკუთარი ყურებივით ვერ იხილავდა გამარჯვებას. ყველაფერს, საომარი მოქმედების ჩანაფიქრიდან დაწყებული, დოკუმენტებისა და გეგმების მომზადებით, სტრატეგიით, დინამიკით დამთავრებული, რუსი სამხედროები ახორციელებდნენ. ამბობდნენ, შევარდნაძესაც ჰყავდაო დამხმარედ ჩვენი ხალხი, ეს თუ ასეა, მაშინ ისინი ალბათ ჩვენს დაკრულზე ცეკვავდნენ, აფხაზეთის მხარეს იყო ელემენტარული სამხედრო თეორია და პრაქტიკა, რომელიც მოქმედებაში მოგვყავდა რუსებს, ქართველი ბოევიკებისგან ეს არ იგრძნობოდა.

თავს არ ვიქებ, მაგრამ, პირადად მე, ალბათ, ერთი სამოცი კაცი დავაწვინე, ჩემმა ნაწილმა მთლიანად, ოთხასამდე. ძალიან თავხედურად, გამომწვევად ვმოქმედებდით, ეს ერთგვარი ნარკომანიაა...



აქ ზედმეტი ვარ, ჯალათი არ ვარ, მაგრამ იქ სულ სხვა სული ტრიალებს — ან დაასწარი, ან დაგასწრებენ. მგონი, ომში უფრო მაღალია მორალი, ვიდრე აქ, მშვიდობიან ადგილას... არ ვიცი, იქნებ, ჩემნაირები სულაც უნდა მიახვრიტო?!

სერგეი ბარანოვი ალკოჰოლს ეძალება და ინტერვიუს წყვეტს.

**ცოტა რამ უახლოესი ისტორიიდან**
**ქართულ-ოსური კონფლიქტი**

კონფლიქტის დასაწყისიდანვე, სამხრეთ ოსეთის მხარეს მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსული მოხალისენი, ამასთანავე, ფრონტის ხაზის ორივე მხარეს დროდადრო ამჩნევდნენ ჯერ საბჭოთა, შემდეგ რუს სამხედრო მოსამსახურეებს. თბილისმა მრავალგზის დაადანაშაულა ცხინვალში დისლოცირებული რუსეთის სავერტმფრენო პოლკი ოსეთის სასარგებლოდ საომარ მოქმედებაში მონაწილეობისათვის.

1991 წელს „რუსული ეროვნული ლეგიონის“ წევრების მოხალისეთა ჯგუფი რუსეთის ეროვნული რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური საბჭოს წევრის სერგეი მალცევის მეთაურობით გაემგზავრა სამხრეთ ოსეთში იმ მოტივით, თითქოს ამ ყოფილ ავტონომიაში ჩატარებული რუსეთის ფედერაციაში შესვლის რეფერენდუმის შემდეგ აქ დატრიალებული ამბები შეიძლება განიხილოს როგორც რუსეთის საშინაო საქმე.

თავის მხრივ, სამხრეთ ოსებმა თავიანთი პრემიერის ოლეგ თეზიევის თანხლებით, ყველაზე აქტიური და სისხლიანი მონაწილეობა მიიღეს 1992 წ. ჩრდილოეთ ოსეთში ოსურ-ინგუშურ კონფლიქტში.

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტი**

1992 წ. 14 აგვისტოს ქართული ჯარი აფხაზეთში შევიდა. 21 აგვისტოს ამას მოჰყვა კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის თავჯდომარისა და პრეზიდენტის ბრძანება, რომელიც ფაქტობრივად, საქართველოსათვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა. 25 აგვისტოსათვის აფხაზეთში თავი მოიყარა ათასობით მებრძოლმა. კონფედერანტებმა თავი განსაკუთრებით გაგრის და სოხუმის შტურმის დროს გამოიჩინეს. საერთო ჯამში, აფხაზეთში 7 ათასამდე ჩრდილოკავკასიელი მოხალისე იბრძოდა, უმეტესობა ჩეჩნები იყვნენ, ყველასათვის კარგად ნაცნობი შამილ ბასაევის მეთაურობით. მათი დამსახურება ხაზგასმით აღნიშნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლ. არძინბამ გაეროს მისიის წევრებთან 1992 წ. ოქტომბერში — „ჩვენ გაერომ კი არა, კავკასიის ხალხთა კონფედერაციამ დაგვიცვაო“.

აფხაზეთის მხარეზე აქტიურად იბრძოდნენ კაზაკები, რომელთა ნაწილმა საფასურად და ჯილდოდ შემდგომში „აფხაზეთის მოქალაქეობა“ და ქართველ ლტოლვილთა ბინები მიიღეს.



არ დაიმალება, და უნდა ითქვას, აფხაზეთში დისლოცირებული რუსი სამხედროები აშკარად ეხმარებოდნენ აფხაზებს, ყველა აფხაზური სამხედრო ოპერაციის გეგმა კი რუსეთის შტაბში შეიმუშავეს.

თავის მხრივ, ქართველთა მხარეს ბალტიისპირელები და უკრაინელები იბრძოდნენ. ასამდე ბოევიკი დიმიტრი კორჩინსკის მეთაურობით 1993 წელს უკვე საქართველოში იყო.

პოსტსაბჭოთა სივრცეში დაქირავებულები შეიძლება ოთხ კატეგორიად დაიყოს: „სპეციალისტები“ - საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, „რომანტიკოსები“ - მოხალისენი, იდეისთვის მებრძოლნი; „სტაჟიორები“ — მებრძოლები, რომლებიც „ცხელ წერტილებს“ იყენებენ პროფესიის, მებრძოლის ჩვევების ასამაღლებლად კარსმომდგარი საკუთარი ომის წინ (ჩეჩნები — აფხაზეთში და ყარაბაღში; რუსეთის ეროვნულ-პატრიოტული გასამხედროებული ორგანიზაციების ბოევიკები-იუგოსლავიაში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში, ჩეჩნეთში) და „უცხოელები“ — საზღვარგარეთული დიასპორის წარმომადგენლები — ავღანელი მოჯაჰედები და სხვა.

სამი ბოლო დასახელების წარმომადგენლები, როგორც წესი, იბრძვიან მოხალისეთა რანგში. თანაც, კონფლიქტის დროს, ისინი ზოგჯერ ფრონტის სხვადასხვა მხარეს ხვდებიან. გუშინ, აფხაზეთში ქართველების მხარეზე მებრძოლი უკრაინელები დღეს ჩეჩნებს ეხმარებიან.

–დასავლეთში ჯარისკაცი აპოლიტიკური პიროვნებაა, მაშინ, როდესაც რუსეთში იგი ეროვნულ სპეცსამსახურებს, ზოგჯერ პარტიასაც კი ემსახურება, ამიტომ არ შეიძლება ყურადღების მოდუნება — რუსული ფაშიზმის საშიშროება არსებობს, მით უფრო, რომ ბევრმა მათგანმა მიიღო საბრძოლო ნათლობა ყარაბაღში, დღესაც, ბევრი ჩეჩნეთში ოსტატდება.

იარაღის შემობრუნება არ არის ძნელი...

„ოგონიოკი“ № 28

# ვის ეკუთვნის ახალქალაქი?

ახალქალაქი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად მიიწევს პროგრესისაკენ.

თანდათან სულ უფრო მკვეთრი ხდება განსხვავება ამ ქალაქსა და საქართველოს სხვა რაიონულ ცენტრებს შორის - უფრო აშკარად ჩანს, რომ ახალქალაქს არაფერი საერთო არა აქვს საქართველოსთან. იგი კლასიკური სომხური ქალაქია. ქუჩებში გავლისას ტყუილად ნუ დაუწყებთ ძებნას ქართულ სარეკლამო აბრებს, ასეთები ფიზიკურად არ არსებობს. ვერ იპოვით ვერც ქართულ ჟურნალ - გაზეთებს, წიგნებს, საქონელს ან თუნდაც ღვინოს. რაც შეეხება კუპონებს, ამ დასახელების ვალუტას ახალქალაქში არ იცნობენ და თუ გააჩნიათ კიდეც, ძირითადად როგორც საქართველოში შეძენილი სუვენირი, სახსოვრად მეზობელი საქართველოსაგან. სიწყნარის მხრივ ახალქალაქი არაფრით ჩამოუვარდება თბილისს, თუმცა, ბათუმის დონეს მაინც ვერ აღწევს. ღამით სიარული და გართობა აქ სავსებით მიღებულია. ელექტროენერგიის ნაკლებობას ქალაქი ნამდვილად არ გრძნობს. ადგილობრივი ქართველი უმცირესობის ერთ-ერთი წარმომადგენლის მტკიცებით, ზამთარში ახალქალაქს ნამდვილად არ ეტყობა, რომ ის ქართული ქალაქია. არის დენი, ძირითადად უამრავი დიზელ - გენერატორის წყალობით, რომელთა ყიდვაც თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ შეძლებულ სომხურ ოჯახს. ამავე ხერხით მუშაობენ საგანმანათლებო დაწესებულებები (სომხური და რუსული სკოლები) მაღაზიები, კაფე-ბარები, რესტორნები, და კინოთეატრი, სადაც ხშირად იმართება სომხური ეროვნული ცეკვები, დისკოთეკები და მოსახლეობაში პოპულარული ინდური ფილმების ჩვენება.

მართალია, სტუმართმოყვარეობა ახალქალაქში არ დგას ზოგადქართული მასშტაბების დონეზე, მაგრამ, როგორც მეზობელს, მაინც მიგიღებენ, მხოლოდ ერთი პირობით: უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ ახალქალაქი არ არის საქართველო. ვერ მიიღებ პასუხს ქართულად დასმულ შეკითხვაზე, არავინ მოგემსახურება, თუ ქართულ ენაზე გაბედავ რაიმეს მოთხოვნას. აქ მყოფი მაშინვე მიხვდება, რომ უთანხმოების შემთხვევაში ის აშკარა უმცირესობაშია. კონფლიქტის შემთხვევაში გაამართლებენ ადგილობრივს როგორც ე.წ. ქუჩურ, ასევე სასამართლო და მუნიციპალურ დონეზე. ვაჭრობის წესებს კარნახობს ადგილობრივი სომეხი, სამეზობლო დავისას ასევე უმრავლესობა იმარჯვებს, თუმცა ინტერნაციონალური დავა იშვიათობას წარმოადგენს. ქართველი ქხალქალაქსა და მის მიმდებარე სოფლებში არის პოტენციური მძევალი და ძლივს შენარჩუნებული საცხოვრებელი ადგილის დაკარგვის რეალური კანდიდატი. ქართველის მეზობლობით სომხები საერთოდ არ არიან განებივრებული. თვით ახალქალაქში ქართველები ნახევარ პროცენტსაც კი არ წარმოადგენენ, ხოლო ქალაქის მიმდებარე ათიოდე სოფლიდან მხოლოდ ერთში ცხოვრობს რამდენიმე ქართული ოჯახი.

რეგიონში დასადგურებულ სომხურ წესრიგს ამაგრებს როგორც მონონაციონალური (სომხური), გამგებლობა, ასევე ნახევრად 'არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფება, რომელმაც თავის დროზე თავი გამოიჩინა სომხეთ - აზერბაიჯანის და აფხაზეთის ომის დროს. ეს რაზმი საკმაოდ კარგად არის უზრუნველყოფილი როგორც ფინანსურად, ასევე მატერიალურად, ხოლო მისი მეთაურები დღეს ხელისუფლების მაღალ პოსტებს იკავებენ. იარაღი სომხებს ნაყიდი აქვთ რამდენიმე წლის წინ აქ განლაგებულ ბაზებზე ჯერ რუსებისაგან, შემდეგკი - ქართველებისაგან. რაც შეეხება ფინანსებს, ფული მოდის სომხეთში არსებული მძლავრი კომერციული სტრუქტურებიდან.

„ახალი თაობა“ № 44

**იბეჭდება შემოკლებით**

●●●

არძინბამ პროვოკაცია უწოდა შუმიეკოს, შევარდნაძის და იაკუშევის განცხადებას, უახლოეს ხანში ქართველ ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნების დაწყების შესახებ. ეს განცხადება არძინბამ 'ხუთშაბათს საღამოს სოხუმში პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გააკეთა.

არძინბას თქმით, აფხაზური მხარის მონაცემებით, ლტოლვილებთან ერთად გალის რაიონში შეყვანილ იქნებიან ქართველ ბოევიკთა ფორმირებები.

მისი განცხადებით, იგი ამას არ დაუშვებს. აფხაზეთის პარლამენტის სპიკერმა სოკრატ ჯინჯოლიამ კომენტარი გაუკეთა საქართველოს პოზიციას რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით. მისი თქმით, - „უბედურება აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა და ჰუმანიტარული დახმარება უნდა მიეცეთ მათ, ვინც დაზიანდა სტიქიური უბედურების დროს, ანუ - აფხაზეთის მოსახლეობას. ამჟამად აფხაზეთს არავითარი ურთიერთობა არ აქვს საქართველოსთან, ამიტომ საქართველოს მოთხოვნები არ შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს“.

„კავკასიონი 130“

## ქუთაისის ავტოქარხანა „ფიატების" გამოშვებას გეგმავს

საქართველოს მთავრობის პრეს-ცენტრის ცნობით, უახლოეს ხანს „Fiat" და ქუთაისის ავტოქარხანა შექმნიან ავტომანქანების გამომშვებ ერთობლივ საწარმოს. წინასწარი მონაცემებით ცნობილია, რომ „Fiat"-ის პირველ ავტომობილებს ქუთაისის ქარხანაში უკვე წლეულსააწყობენ. ნაწილი საქართველოში გაიყიდება. მომავალში გათვალისწინებულია იტალიელებთან ერთად ქუთაისში გამოუშვან მსუბუქი ტრაქტორები.

„კომერსანტ დეილი" №127



## მოსალოდნელია პურის ხელმეორედ გაძვირება

1 ივლისიდან გაძვირდა პური ნაცვლად 280 ათასი კუპონისა, გახდა 300 ათასი კუპონი. პურზე ფასის გაზრდის გამომწვევ მიზეზებზე საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტმა, ბ-ნმა ანზორ ბურჯანაძემ თქვა:

— პურის ფასების გაზრდა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: ერთი კილოგრამი პურის რეალური ფასია 400-420 ათასი კუპონი, სარეალიზაციო ფასი იყო 280 ათასი კუპონი. ჩვენ პურის ფქვილსა და ხორბლს ვღებულობთ ჰუმანიტარული დახმარების სახით აშშ-დან და ევროგაერთიანების ქვეყნებიდან. მათი ძალდატანებით ჩვენ იძულებულნი გავხდით, გაგვეზარდა პურის ფასი და გადაგვეხადა 300 ათასი კუპონი (ამ შემთხვევაში გავითვალისწინეთ მოსახლეობის სოციალური პირობები). პურის ფასები კვლავ გაიზრდება და ცოტათი გაუსწრებს მის რეალურ ფასს. მაგრამ პურის გაზრდის ვადები ჯერჯერობით უცნობია.

„მიმომხილველი" № 26

## „კასპიის ნავთობი საქართველოზე გაივლის"

— ნათქვამია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულ წინასწარი მოლაპარაკების ოქმში, რომელიც ითვალისწინებს ნავთობის ტრანსპორტირებას კასპიისპირეთიდან საქართველოს გავლით. მას ხელი მოაწერეს ორმა ვიცე - პრემიერმა — კერვალიშვილმა და აბასოვმა. ადრე, ნავთობის ტრანსპორტირების პრეტენზია ჰქონდა რუსეთს კონცერნ „ლუკოოლის" სახით.

„კომერსანტ დეილი" № 127

სააგენტოს (იბერია) საქ. რესპ. მინისტრთა კაბინეტიდან კონფიდენციალურმა წყარომ აცნობა, რომ რფ, საქართველოსა და თურქეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით მუშავდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რფ-დან თურქეთში, საქ. რესპ. გავლით ბუნებრივი აირის ექსპორტირებას. კონტრაქტი გათვალისწინებულია 10-15 წლის პერსპექტივაზე. ამჟამად უკვე არსებობს წინასწარი შეთანხმება 6 მილიარდი კუბომეტრი აირის ექსპორტის თაობაზე.

„იბერია" მსგეფსი № 19

საქ. რესპ. მზადდება ფართომასშტაბიანი ფულადი რეფორმა, რომელსაც არ იქნება კონფისკაციური ხასიათი. ეროვნულმა ბანკმა უკვე დაასრულა მუშაობა რეფორმის ძირითად პარამეტრებზე და განსაზღვრა ეროვნული ვალუტის — ლარის მომავალი კურსი. გადაწყვეტილია ლარის მჭიდროდ დაკავშირება დოლართან. ლითონის მონეტების ბეჭდვა უკვე დამთავრდა, მიმდინარეობს ქაღალდის კუპიურების ბეჭდვა.

„იბერია", მსგეფსი № 19

**გასაყიდად გამოვიდა არაყი „ასლან აბაშიძე"**, რომელიც გამოშვებულია ბათუმში, ხორბლის მაღალხარისხოვანი ჯიშებისაგან. მინის ტარა შეძენილია თურქეთში, ბოთლის ეტიკეტზე არის ინგლისური წარწერა „არაყს სახელი დაერქვა მისტერ ასლან აბაშიძის პატივსაცემად, რომელიც საქართველოს ხელმძღვანელობიდან ერთადერთია, ვინც თავის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება შეძლო".

იმ კოლეგების აზრით, ვინც სასმელი გასინჯა, მას შესანიშნავი გემო და ხარისხი აქვს. რაც შეეხება წარწერის შინაარსს, მას ვერავინ შეეკამათება.

„ალია საქართველოდან" № 30

## გემიც დაუქირავებიათ

უკვე დაქირავებულია გემი, რომელიც საქართველოში ეროვნულ ვალუტას ლარს ჩამოიტანს. ამის შესახებ იყო უკვე საუბარი ფრანგი ეკონომისტების დელეგაციისა და საქართველოს ვიცე-პრემიერის შეხვედრაზე, რომლის დროსაც ხელმოწერილი იქნა საფრანგეთისა და საქართველოს მთავრობების მიერ მომზადებული საფინანსო აქტი. იგი ითვალისწინებს რესპუბლიკისათვის გარანტიის სახით 10 მილიონი ფრანკის გამოყოფას ახალი ეროვნული ვალუტის, ლარის ბანკნოტებისა და მონეტქბის დამზადების, ტრანსპორტირების და დაზღვევის ხარჯების დასაფარავად.

„რეზონანსი" № 71

## ევრობანკის შეფი მოსკოვს ეწვია

ევროპის ბანკის პრეზიდენტის, ჟაკ დე ლაროზესას ვიზიტი მოსკოვს რუსეთის მთავრობას დიდად სასიამოვნო მოვლენად დარჩა. ევრობანკის შეფმა განაცხადა, — უდავოა, რუსეთი საბაზრო ეკონომიკის ახალ ფაზაში შევიდა და ერთ-ერთი მსხვილი ინვესტიციური ორგანიზაციის სათავეში მოექცაო. მან ქათინაურით შეამკო რუსეთის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკა - თურმე, ქვეყანაში ფინანსური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური აღმავლობის დასაწყებად ყველა პირობა ყოფილა შექმნილი.

ევრობანკის შეფის ოპტიმიზმი ლიტონი სიტყვები როდია — რუსეთში 4 მლრდ დოლარის ღირებულების 43 ინვესტიციური პროექტია განსახორციელებელი; ხელი მოაწერა 31 პროექტს, რის მიხედვითაც ევრობანკი გამოყოფს თითქმის მილიარდ დოლარს. ინვესტიციის ძირითადი წყაროებია ნავთობის წარმოება, ტელეკომუნიკაცია და საზღვაო ტრანსპორტი. ასევე შეიქმნა რუსეთის ბაზაზე მოქმედი მცირე ბიზნესის სპეციალური ფონდი, რომელიც გასცემს გრძელვადიან კრედიტებს საშუალო ფორმებისათვის 75 ათასი დოლარის ოდენობით.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 124

## ქართული რვაფეხა: ქუთაისიდან ისრაელში ევროპის გავლით

ქუთაისელი ტარიელ ონიანი — საქართველოს ერთ-ერთი მაფიის ხელმძღვანელი, თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული მაფიის წევრი, მოქმედებას იწყებს ისრაელში.

ეს ინფორმაცია მოგვაწოდა ჩვენმა კორესპონდენტმა რუსეთიდან.

რუსეთის პოლიციის მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა აზრით, ონიანის გავლენის გაძლიერება ისრაელში შეშფოთების საკმაოდ სერიოზული მიზეზია, ხოლო ისრაელის ხელმძღვანელობამ საჭიროა გაატაროს შეთანხმებული ღონისძიება კრიმინალური ჯგუფების წინააღმდეგ.

რუსეთსა და საქართველოში ონიანი ხუთასკაციან შეიარაღებულ ჯგუფს მეთაურობს. მისი მაფიის წევრები დახელოვნებულნი არიან ყალბი ფულის დამზადებაში, ადამიანების გატაცებასა და ნარკობიზნესში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მათ საქმიანობა დაიწყეს საბანკო სისტემაში, აყალიბებენ მრავალდარგოვან კომპანიებსა და ფულს აბანდებენ სამკაულებში, ნავთობსა და ხე-ტყის მრეწველობაში.

ამ ინვესტიციათა დიდი ნაწილი — 4 მილიონი დოლარი-ისრაელში ჩადებულია რუსეთის მაფიის ხელმძღვანელების მიერ.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს მაფიის ერთი შენაერთის საქმიანობის სფერო გახლავთ რადიოაქტიური მასალებისა და ძვირფასი ლითონების კონტრაბანდა რუსეთიდან საზღვარგარეთ.

1993 წელს რამდენიმე მაფიოზის მკვლელობის შემდეგ ქუთაისის მაფიის ხელმძღვანელი ავსტრიაში გაიქცა და ამჟამად დასავლეთ ევროპასა და ისრაელში მოგზაურობს. ამ ხნის განმავლობაში ძლიერდება მისი გავლენა პერონის საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში და ხდება ისრაელში საქართველოს მაფიის მთავარი დამფინანსებელი და მომმარაგებელი.

ისრაელის პოლიციის ხელმძღვანელობა მეტად დააფიქრა ონიანის გავლენის გაძლიერებამ. მას მიიჩნევენ, უდიდესი შესაძლებლობისა და პოტენციალის კრიმინალად. პოლიცია შეშფოთებას გამოთქვამს, აგრეთვე, ონიანის საქმიანობის ნარკობიზნესში გადასვლით.

გასულ კვირას პოლიციის მეთაურის გენერალ-ლეიტენანტ ასაფ ჰეფეცის ვიზიტის შემდგომ მოსკოვის პოლიციის მაღალმა ჩინებმა განუცხადეს „იედიოთ ახრონოთის" კორესპონდენტს: „ონიანის გავლენის გაძლიერება ისრაელის ნარკოტიკების ბაზარსა და ფინანსურ სისტემაში სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სოციალურ სტრუქტურასა და მის სოციალურ ჯანმრთელობას."

აქვე დავძენთ, რომ ონიანის მაფიაში მოქმედებს ნათლიმამა, ებრაელი ბუხნიკაშვილი, მეტსახელად „ფაცო", რომელიც ისრაელში საქართველოს მაფიის დამაკავშირებელია.

„7 დღე" № 27

## საქართველოს რუსეთის ერთიან ენერგოსისტემაში დაბრუნების იმედი აქვს

რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩამოვიდა რუს ენერგეტიკოსთა დიდი ჯგუფი რუსეთის სააქციონერო საზოგადოება „ეეს"-ის პრეზიდენტის ა. დიაკოვის მეთაურობით. ვიზიტი მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს ერთობლივი სააქციონერო საზოგადოების პრობლემას. რომელიც აწარმოებს და გადასცემს ელექტროენერგიას. ადრე გამართულ შეხვედრებზე მიღწეულ იქნა წინასწარი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ეს სააქციონერო საზოგადოება შეუდგება რუსეთიდან საქართველოში მომავალი მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენას. ქართველი სპეციალისტები ამ სამუშაოების დამთავრებას წლის დამლევისათვის ფიქრობენ, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს შეუერთდეს რუსეთის ერთიან ენერგოსისტემას. „საქენერგოს" წარმომადგენლის განცხადებით, საქართველო ამ სამუშაოებს საერთაშორისო ნიხრით აანაზღაურებს.

„კომერსანტ დეილი" № 127

## ქაღალდის მომმარაგებლები გაახარეს, მაგრამ ექსპერტები აშკარად აჩქარდნენ

The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულმა მონაცემებმა ჩრდილოეთ ამერიკაში ქაღალდის მწარმოებელთა ფინანსური საქმიანობის შესახებ იმ. ექსპერტთა ყურადღება მიიპყრო, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ქაღალდის მსოფლიო ბაზარზე მომხდარ მოვლენებს. უკანასკნელ ხანს პირველად დადგა ქაღალდის კომპანიების მოგების შემცირების საკითხი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფასი, რომლებიც უკანასკნელ წლებში ძალიან გაიზარდა, აღარ გაიზრდება.

მსოფლიოში მიღებული ტრადიციის თანახმად, ქაღალდის ახალი ფასი წინასწარ განისაზღვრება, მაგალითად, ივნისის დამდეგს წამყვანმა ამერიკულმა და ევროპულმა მწარმოებლებმა თავიანთ კლიენტებს უკვე აცნობეს ამ საქონელზე ფასების მომატება. ახალ ფასები მოქმედებაში ამა წლის ოქტომბრიდან შევა და ალბათ 1996 წლის თებერვალ-მარტამდე აღარ შეიცვლება.

ფასების შესახებ კამათში უკანასკნელი სიტყვა სწორედ ქაღალდის მწარმოებლებს ეკუთვნით. მსოფლიო ბაზარზე ქაღალდის რეალური დეფიციტის წყალობით მწარმოებლებს არა მარტო თავიანთი სასურველი ფასის დადების საშუალება აქვთ, არამედ კლიენტების დარწმუნების მძლავრ მექანიზმსაც ფლობენ. საკმარისია გავიხსენოთ ამასწინანდელი სიტუაცია, როცა ევროპას გაზეთის ქაღალდი დააკლდა და ზოგიერთი გამომცემელი იძულებული იყო ტირაჟი შეემცირებინა. ამის ოფიციალური მიზეზი არ გაუმჟღავნებიათ, მაგრამ ექსპერტები სავარაუდო მიზეზად გამომცემლებსა და ქაღალდის მოვაჭრეთა შორის ფასის გამო შექმნილ დავას ასახელებდნენ. მაღალი ფასებით აღშფოთებული კლიენტები უბრალოდ ამბობდნენ — ქაღალდი არ არის. სპეციალისტები იხსენებენ, როგორ გაემგზავრა მაისში რუპერტ მერდოკი ფინეთში ქაღალდის სათხოვნელად.

სერიოზული ანალიტიკოსები თვლიან, რომ ქაღალდზე ფასის 'ზრდის ტემპის მინიმალურ შემცირებას შეიძლება 1997 წლის მეორე ნახევრიდან ველოდოთ. ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში სტანდარტული ქაღალდის მასა BNSK ერთი ტონა ოქტომბრიდან 1000 დოლარი ეღირება, ბრაზილიაში 1100 დოლარი და როგორც ამბობენ, ეს მხოლოდ დასაწყისია.

„კომერსანტ დეილი" №125

## „მაგატეს" გენერალური მდივანი რუსეთს ეწვია

წინა კვირაში რუსეთში ჩამოვიდა „მაგატეს" გენერალური მდივანი ჰანს ბლიკი. „მაგატე" გამოიყენებს ბირთული ობიექტების უსაფრთხოების კონტროლის ახალ მეთოდებს, რომლის ტექნოლოგია რუსეთში შემუშავდა, ამიტომ ბლიკსა და „მენატეპის" ხელმძღვანელს, მიხაილოვს შორის მოლაპარაკება პირველ რიგში „მაგატეში" რუსული პერსონალისა და ტექნიკის გამოყენებას ეხებოდა.



ბლიკმა დაათვალიერა ცნობილი „არზამას-16" ეს გენერალური მდივნის პირველი სტუმრობა იყო რუსეთის ბირთული შეიარაღების სპეციალისტებთან. შემდეგ ბლიკმა მოინახულა რუსეთის ბირთული ინსტიტუტის მარგალიტი „ობნისკი". ფიზიკის ინსტიტუტში სტუმარს აჩვენეს და გააცნეს ერთდროს მთავარი სახელმწიფო საიდუმლოებანი — ლაზერის ენერგეტიკის ექსპერიმენტული დანადგარები.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 124

## სად არის მეფე?

*კითხვაზე, ვისი გჯერათ, ვინ შეძლებს რუსეთის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანასო, რუსმა ხალხმა უპირატესობა პეტრე პირველსა და იოსებ სტალინს მიანიჭა.*




| | |
|---|---|
| პეტრე პირველი | 13,6% |
| პეტრე სტოლიპინი | 8,7% |
| გრიგორი იავლინსკი | 7,2% |
| იოსებ სტალინი | 5,9% |
| იური ლუჟკოვი | 4,5% |
| მარგარეთ თეთჩერი | 3,7% |
| ეგორ გაიდარი | 2,8% |
| ალექსანდრე ლებედი | 2,3% |
| ვლადიმირ ჟირინოვსკი | 2,0% |
| ბორის ელცინი | 1,2% |




„ნიუზუიქი" 17 ივლისი

## ინფორმაციული ვაკუუმი გაირღვა

გუშინ თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალბერტ ჩერნიშოვი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიკვაიძეს. ხელი მოეწერა საუწყებათშორისი თანამშრომლობის ორმხრივ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ორივე ქვეყნის - საქართველოს და რუსეთის - ჟურნალისტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაარღვიონ ინფორმაციული ვაკუუმი და ცენზურის გარეშე მიიღონ მათთვის საინტერესო მასალები, გახსნან პრესცენტრები და კორპუნქტები. ამავე დროს, ჟურნალისტები უზრუნველყოფილი იქნებიან ელემენტარული სამუშაო პირობებით. საცხოვრებლით და ა.შ. დაცული იქნება მათი უფლებები.

ხელშეკრულება ხელმოწერის დღიდან შევიდა ძალაში.

„კავკასიონი" № 130

## რუსეთის დროშით რუსეთის წინააღმდეგ

12 ივლისს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია შეხვდა რუსეთის ფედერაციის სათათბიროს ფედერალური საბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმირ შუმეიკოს.

როგორც „რეზონანსისთვის" გახდა ცნობილი საუბარი ძირითადად შეეხო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კონფლიქტის მოგვარებას, ლტოლვილების დროულ და უსაფრთხო დაბრუნებას. რუსეთმა აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მიღებულია გადაწყვეტილება საზღვაო და სახმელეთო საზღვრების დაცვაზე. მიუხედავად ამისა, 5 ხომალდი რუსეთის დროშით მოძრაობს უცხო ქვეყნებსა და აფხაზეთს შორის, აღნიშნულ ხომალდებს შემოაქვთ იარაღი, გადმოჰყავთ მებრძოლები, რომლებიც მონაწილეობენ ტერორისტულ და დივერსიულ აქტებში, ჩეჩნეთში მიმდინარე ომში რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის გარკვეული ძალები, ოფიციალური თბილისის გვერდის ავლით, დახმარებას უწევენ აფხაზეთს სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაში.

„რეზონანსი" № 71

## დაკავებულია ხაბეიშვილის მკვლელობაში ეჭმიტანილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯგუფმა 5 ივლისს აეროპორტში დააკავა სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი. იგი მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი შოთა კვირაია მოსკოვში მიფრინავდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ევგენი აბრამოვთან შესახვედრად. მინისტრს თან მიჰქონდა მასალები ძებნილ ეჭვმიტანილთან დაკავშირებით და ბ-ნ აბრამოვთან მისი საქმის ირგვლივაც უნდა გამართულიყო კონსულტაციები. ეჭვმიტანილი, შეიძლება ითქვას, მინისტრს აეროპორტში შეეფეთა. იგი იცნეს და დააკავეს. მინისტრმა აეროპორტიდანვე უპატაკა სახელმწიფოს მეთაურს, რომ აყვანილია ბ-ნი ხაბეიშვილის შესაძლო მკვლელი.

ეჭვმიტანილი მოსკოვში ბ-ნი ხაბეიშვილის მკვლელობის მეორე დღეს - 21 ივნისს 15.00 საათზე გაფრინდა. გადაუმოწმებელი, არაოფიციალური მონაცემებით, მოსკოვიდან საქართველოს უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის გამოძახებით თუ მოთხოვნით ბრუნდებოდა და სავარაუდო მკვლელის პირობაზე გაუმართლებლად თამამად მოგზაურობდა ყალბი პასპორტით. ჰქონდა საზღვარგარეთული დიპლომატიური პასპორტი.

დაკავებულის საქმეზე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-6 სამმართველოს სპეციალური გაძლიერებული ჯგუფი, დაკომპლექტებული ძალზე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

„7 დღე" № 27

## გიორგი ყორღანაშვილი: ხალხს სახელმწიფოსი აღარ სჯერა...

8 ივლისს, კინოთეატრ „თბილისში", „მოძრაობა სიცოცხლისათვის" თავმჯდომარემ გიორგი ყორღანაშვილმა და მისმა მთავარმა მრჩეველმა, ჯუმბერ პატიაშვილმა გამართეს შეხვედრა დიდუბის რაიონის მოსახლეობასთან. ყორღანაშვილის თქმით, მოძრაობა არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია: ამიტომ მას არჩევნებში და სხვა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის პრეტენზია არა აქვს.

აუცილებელია საბარათო სისტემის შემოღება. სახელმწიფოვალდებულია სიცოცხლისათვის საჭირო 1500 კალორიით მაინც დააკმაყოფილოს მოსახლეობა. ამასთან დაკავშირებით, 500 ათასი ხელმოწერა შეგროვდა, რომლის უმეტესი ნაწილი დაიწვა. მთავრობისათვის გადარჩენილი ნაწილის წარმოდგენამდე ორი დღით ადრე გამოშვებული ბრძანებულების მეექვსე დანართში კი ამ სისტემის შემოღებაზეა საუბარი. „მთავრობამ იცოდა ამ ხელმოწერების შესახებ და დაგვასწრო. მაგრამ, როგორც კი გაიგეს ხელმოწერების განადგურების შესახებ, მაშინვე ეს ბრძანებულებები სადღაც გაქრა", - თქვა გიორგი ყორღანაშვილმა. აღნიშნულ ბრძანებულებაში საბარათო სისტემისათვის 50 მლნ დოლარი იყო გამოყოფილი, საიდანაც, 20 მლნ ფქვილზე და 8 მლნ უმაღლესი ხარისხის უცხოურ სიგარეტზე (!) იყო გამიზნული.

ჯუმბერ პატიაშვილი - პრეზიდენტობის კანდიდატი?

ცალსახად თქმა იმისა, პატიაშვილი კვლავ დაუბრუნდება თუ არა პოლიტიკურ სარბიელს, ძნელია, „თავთავის" ახლანდელი დირექტორი ჯერჯერობით მხოლოდ საკუთარი საწარმოს საქმიანობით არის დაკავებული და პარლამენტურ სჯა-ბაასში მონაწილეობას თითქმის არ იღებს, თუმცა, დროდადრო მაინც ექცევა ყურადღების ცენტრში და კიტსამეებისა თუ რჩეულიშვილების შიშს იწვევს - დაიღუპება საქართველო, თუ პატიაშვილი ისევ ნომერი პირველი გახდებაო. ეს შიში, კი პატიაშვილის კომპარტიის ყრილობაზე გამოჩენამ გამოიწვია. „ვიყავი კომუნისტი და დავრჩი კომპარტიაში, თუმცა, პოლიტიკურად პარტიის ყრილობაში მონაწილეობა არ მიმიღია", - თქვა მან. მოძრაობის მთავარ მრჩევლად დანიშვნაც მხოლოდ ტელევიზიით შეიტყო ამ ორიოდე წლის წინ და უარი არ უთქვამს, ვინაიდან, მისი საქმიანობის პრინციპებს ეთანხმება, პრეზიდენტობის ინსტიტუტები გაუმართლებლად მიაჩნია, მაგრამ „თუ დადგება საკითხი, უარი რაზე უნდა ვთქვა".

■ დაიწყო მოლაპარაკება ისრაელის მიერ საქართველოში მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის შესახებ. ამის თაობაზე ისაუბრეს ედუარდ შევარდნაძესთან ისრაელის ბიზნესმენების ჯგუფთან შეხვედრაზე.

ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა ისრაელში მისი ვიზიტის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ საქართველოში მზადდება კანონი უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს უცხოელი ბიზნესმენების ჩვენთან თანამშრომლობით დაინტერესებას.

■ თბილისის ლომისის ეკლესიის (გლდანის რაიონი) მოძღვარი, მამა ვასილი ეკლესიიდან განკვეთეს, საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მამა ვასილი შავბნელი ძალების ხელში ბრმა იარაღი აღმოჩნდა და საეკლესიო კანონების უხეში დარღვევების გამო მას ეკრძალება ღვთისმსახურება. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მამა ვასილის გარშემო ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟი და საპატრიარქოს მისამართით გამოთქმული ცილისწამება ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული.

„ალია-საქართველოდან" № 31

## კავკასიის ცხელ წერტილებში დღემდე სისხლი იღვრება

ჩრდილოეთ ოსეთში ყველაზე წმინდა წარმართულ-ქრისტიანული ზეიმი დასრულდა სამხრეთ ოსეთის ოცი ომონელისა და მეზობელი ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ კადგარონის მაცხოვრებლებს შორის შეიარაღებული შეტაკებით. გალეშილი მლოცველნი წალაპარაკდნენ, რასაც მოჰყვა ომონელების ავტომატების გრიალი და კადგარონელების დანების ტრიალი. სისხლისმღვრელი შეტაკება წმინდა ადგილებში მიმდინარეობდა. ომონელები ავტობუსებში ჩასხდნენ, თავი შეაფარეს სოფელ ნოზალის მთის საავადმყოფოს, სადაც გარდაიცვალა 22 წლის ქაჯაევი. კადგარონელებმა აქამდეც მიაღწიეს და შეტაკების დროს 9 კაცი დაიჭრა. სამართალდამცავებმა მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეძლეს დაეშორიშორებინათ მოწინააღმდეგენი. ომონელებმა საქართველოს ტერიტორიას მიაშურეს, კარდაგონელები კი ალაგირის რაიონის ადმინისტრაციის შენობის წინ მომიტინგე ხალხს შეუერთდნენ. მიტინგზე გაისმოდა მოთხოვნა, ჩამოსულნი უკანვე გაებრუნებინათ სამხრეთ ოსეთში, სადაც უკვე სამი წელია, შეჩერებულია საბრძოლო მოქმედებანი.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 125

## საზოგადოება „არჩევნების" კონფერენცია

საზოგადოება „არჩევნების" საბჭოს წევრმა, პარლამენტის დეპუტატმა ჯაბა იოსელიანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში 60 დეპუტატი მიმართავს პარლამენტს მოთხოვნით, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის მიმართ, რადგან იოსელიანის თქმით, მან დაარღვია კონსტიტუციის გარკვეული მუხლები. ქვეყანა მიუხედავია, - განაცხადა იოსელიანმა, - და უბრუნდება ტოტალიტარულ რეჟიმს. დღევანდელი ეკონომიკა მოძალადე ეკონომიკაა, ხოლო სამხარეო მოწყობა, რომელსაც შევარდნაძე ატარებს, ნამდვილი ფეოდალიზმია. იგი არა მხოლოდ ეკონომიკის და პოლიტიკის რეგლამენტირებას ახდენს, არამედ - სულიერებისაც. „ჩვენ უფლება არა გვაქვს, - განაგრძო იოსელიანმა, - ამ ისტორიულ მომენტში წინ არ აღვუდგეთ იმას, რაც ხდება". მისი სიტყვებით, საქართველოს საგარეო ვალი 1 მილიარდ 200 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. საერთოდ, ქვეყნის მდგომარეობა ან ანარქიისკენ მიგვაქანებს, ან სისხლისღვრისაკენ.

იბეჭდება შემოკლებით
„კავკასიონი" № 130

## დააკავეს იარაღით დატვირთული ავტოკოლონა

უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის იგორ გიორგაძის ინფორმაციით, უშიშროების სამსახურმა რესპუბლიკის საზღვარზე დააკავა იარაღით დატვირთული 20 სატვირთო ავტომანქანა, რომლებითაც იარაღი იგზავნებოდა საზღვარგარეთის ერთ-ერთ ქვეყანაში. გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის გადაწყვეტილებით, საქმე გამოძიებისთვის გადაეცა სამხედრო პროკურატურას.

„მიმომხილველი" № 26

## ტერორისტი შმონოვი თავისუფალია



სპეციალიზებული რეჟიმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ხუთი წელი დასტყობია შმონოვს...

1990 წ. 7 ნოემბერი, წითელი მოედანი, ზეიმი, ჩოჩქოლი, ორი გასროლა. თვალის დახამხამებაში გაკოჭეს კაცი, რომელმაც კინაღამ ყველას თვალწინ გაუგონარი მკვლელობა ჩაიდინა, სამიზნედ ჰყავდა - ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი.

- რა უნდა გიამბოთ? ვიყავი რუსეთის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი, ვიყავი გამომგონებელი... გორბაჩოვის და ლუკიანოვის მოკვლის იდეა იმ გასროლამდე რვა თვით ადრე გამიჩნდა, რატომ - პირველ რიგში, გორბაჩოვს ვადანაშაულებდი თბილისში 9 აპრილს უდანაშაულო ხალხის მკვლელობაში და იგივე მოხდა 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში. ვთვლიდი, რომ ლუკიანოვიც იყოფდა პასუხისმგებლობას, რადგან ასეთ ძირეულ გადაწყვეტილებებს ისინი კოლექტიურად იღებდნენ ხოლმე. მეორეც - ეს ორი პიროვნება მთელი ჩვენი ხალხის წინაშე არიან დამნაშავენი, დაუსჯელი ბოროტმოქმედება ახალ სისასტიკეს წარმოშობს და გადავწყვიტე აღმესრულებინა მართლმსაჯულება - მანამდე კი, წერილობით გავაფრთხილე - თუ 1990 წ. 1 სექტემბრამდე სახალხო რეფერენდუმებს არ მოაწყობდნენ, მე მათ მოვკლავდი, წერილი რომ მიიღეს, ვიცი, დაკითხვის დროს მიჩვენეს. შურისძიებისათვის ვემზადებოდი - 7 ნოემბერს გავუსწორდი თუ არა მავზოლეუმს, ამოვიღე პალტოსქვეშიდან თოფი და როგორც ჩანს, დიდხანს, ალბათ ორი წამი, ვუმიზნებდი, სერჟანტმა აღმოამჩინა და ხელი ამიკრა, მიზანს ავაცილე, ავაცილე გორბაჩოვსაც და ლუკიანოვსაც - ორივე უნდა მომეკლა იმ დღეს.

ამას მოჰყვა ლეფერტოვო, ფსიქიატრიული, რატომღაც ძალიან შეეცადნენ შეურაცხადი ვყოფილიყავი, იქნებ კიდეც ჯობდა, დახვრეტას გადავრჩი, ხალხისათვის კი, თუ ლუკიანოვს და გორბაჩოვს გიჟი ესვრის, მერე რა, იმიტომაც არის გიჟი. აი, თუ ნორმალური ესვრის, მაშინ რა ხდება, რაშია, ბატონებო, საქმე?

ოთხი წლის და 7 თვის შემდეგ „გამოვჯანსაღდი" და გამომიშვეს. დღესაც რომ იგივე პირობები იყოს, იგივეს გავაკეთებდი, მაგრამ დღეს ყველაფერი ფარდაახდილია - ხელისუფლება ხალხის არჩეულია და თუ ბოროტება და სისხლისღვრა ხდება, ჩვენივე ბრალია, ძალაუფლება ხომ ჩვენ მივეცით.

ჩემს მომავალს ტერორს არ ვუკავშირებ. ვაპირებ ახალი პარტიის შექმნას - ეს იქნება მოქალაქის რუსეთიდან ტერიტორიული გამოყოფის შესაძლებლობის პარტია, ეს ტერიტორია დაახლოებით 11 ჰექტარი იქნება, უკვე 36 კანდიდატი მყავს.

შეიძლება ცხოვრობდე ქვეყანაში, მაგრამ საკუთარი პრინციპით.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 126

# „ცივი ომი“ ნავთობისათვის, რომელიც ხანდახან „ცხელშიც“ გადადის

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კასპიისპირა საბადოებზე ლუზა პირველმა აშშ-მა ჩაუშვა. ამერიკის ნავთობის კონცერნები იაფფასიანი ნედლეულის სუნმა მოიზიდა, დასავლეთი თავისი ეკონომიკური სიმძლავრისთვის ახალ ასათვისებელ რეგიონებს ეძებდა. საბჭოთა უმართავი მეურნეობით და სომხეთთან ყარაბაღის ომით დასუსტებულმა აზერბაიჯანმა თავისი მიწისქვეშა სიმდიდრე კრედიტით გასცა, რათა შემდგომში, დასავლეთის ხელისუფალთა და მრავალეროვან კომპანიათა მხარდაჭერით, რუსეთს ხელიდან საბოლოოდ დასხლტომოდა.

ასე და ამგვარად, ევროპის საზოგადოებისთვის შეუმჩნევლად კასპიის ზღვაზე მომწიფება იწყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ახალმა კონფრონტაციამ. ამერიკელები და რუსები ერთმანეთს ეკონომიკური რესურსებისა და გეოსტრატეგიული პოზიციებისთვის შეეჭიდნენ. კვლავ დაიწყო XIX ს-ის მსგავსი „დიდი თამაში“, როდესაც ცენტრალურ აზიასა და სპარსეთში მთავრობის ვაკუუმი შეიქმნა და ამ რეგიონში ერთმანეთს ეცილებოდნენ რუსეთი და ინგლისი.

ოქროს წვიმას ცოტა შეაგვიანდება. გაზის გასათხევადებელ მოწყობილობას აზერბაიჯანისთვის დღეში 200 ათასი დოლარი მოაქვს, მაგრამ, ბაქოს, ჯერ კონტრაქტის 150 მილიონი დოლარი აქვს გადასახდელი.

„ბენზოილი“ და სხვა კომპანიები მოთმინებით იცდიან. ისინი ვაჭრობენ აზერბაიჯანის კლანებთან და მაინცდამაინც არც რუსეთი აშინებთ. ყველამ შესანიშნავად იცის, რომ კასპიისპირა დაბლობები, რომელიც კავკასიას ცენტრალური აზიისაგან ჰყოფს. უკეთეს თუ უარეს შემთხვევაში, ხვალინდელი ქუვეითია, ტერიტორია რომელსაც ჯერ არ დაჰპატრონებია საერთაშორისო სისტემა; თავის რიგს ელოდება და 32 მილიარდ ბარელ უმაღლესი ხარისხის ნავთს ინახავს.

ნავთობისა და გაზის მარაგმა კასპიის ზღვისპირა სამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში — (აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი) დასავლეთი უკვე შეაგულიანა გაიღონ 30 მილიარდი დოლარის ინვესტიციები. რუსეთმა კონკურენტებს დაუპირისპირა ბაქოში გადატრიალების მცდელობა, სომხეთსა და საქართველოში სამხედრო ბაზების შექმნა.

უკვე დაიწყო ტერიტორიების მზადება მომავალი ნავთობსადენებისათვის. კრემლი ჯიუტად ითხოვს, რომ ტრასებმა რუსეთზე გაიაროს. დასავლეთი თურქეთს ირჩევს. მოსკოვის დაუნდობელი შეტევა ჩეჩნეთზე იმითაც იყო გამძაფრებული, რომ კონტროლი დაეწესებინათ ნავთობტრასების საკვანძო პუნქტზე — გროზნოზე. თურქების შეიარაღებული კამპანიებიც ქურთების წინააღმდეგ მიზნად ისახავს ნავთობსადენებისათვის ტერიტორიების უსაფრთხოებას.

ხდება „საუკუნის გარიგება“ — 7 ქვეყნის 12 ფირმა აპირებს 30 წლის მანძილზე ამ საბადოებიდან 511 მილიონი ტონა ნავთის ამოღებას. მოსამზადებელი ეტაპისთვის გამოიყო 7,4 მილიონი დოლარი და კიდევ რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი აზერბაიჯანის სოცგადასახადებისათვის.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები ყოველმხრივ და ყველა გზით ცდილობენ ამ პროცესის ჩაშლას, თუმცა, მრავალეროვანი კომპანიები და აშშ-ის ხელისუფალნი შეხმატკბილებულნი მუშაობენ. ფირმა „ამოკოს“ ვაშინგტონელი მრჩეველი ამტკიცებს, რომ „აზერბაიჯანში ნავთის ამოქაჩვა ნიშნავს დასავლეთის ინტერესების ზონის გაფართოების პირდაპირ შანსს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხარჯზე“. საერთაშორისო ენერგეტიკული პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელმა ლონდონში განაცხადა: „რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, პირდაპირ ვაცხადებ: — აშშ-ი დაიცავს საკუთარი ფირმების ინტერესებს კასპიის ზღვაში“.

ამერიკელების კავკასიაში მოზღვავებამ ისეთი მასშტაბები მიიღო, როგორის ნებასაც თავად ისინი არავის მისცემდნენ კარიბის ზღვაში. ყოფილმა რუსეთის ელჩმა ბაქოში ვალტერ შონიამ უცერემონიოდ გააფრთხილა ალიევი: „ჩვენ უკვე 200 წელია ვთანამშრომლობთ აზერბაიჯანთან, ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც ამ სინამდვილეს უარყოფს, დიდხანს თავის პოსტს ვერ შერჩებაო“.

დასავლეთი, რომელსაც ძალიან სჭირდება ნავთობი, აზერბაიჯანს აღმოუჩინს არამარტო . მატერიალურ, არამედ პოლიტიკურ დახმარებასაც. კიდევ გადახედავს სომხეთ-რუსეთის გამარჯვებას მთიან ყარაბაღში და ამ ტერიტორიის დაკარგვას. ამერიკამ, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ სომხური დიასპორის გავლენით განუდგა აზერბაიჯანს, ამჯერად შეცვალა პოზიცია, იგი დიდ ძალისხმევას იჩენს, რათა ხელი შეუშალოს მოსკოვს, ყარაბაღი და სომეხი პარტიზანები კვლავ ბაქოს გასალიზიანებლად გამოიყენოს.

მოსკოვის საგარეო და ენერგეტიკული პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში გაცილებით უარესად იყო კოორდინირებული, ვიდრე აშშ-ის შესაბამისი პოლიტიკა. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონფრონტაციამ, რომელიც თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ბებერ ევროპას, გადაინაცვლა ამიერკავკასიაში და მივიდა ნავთობისათვის „ცივი ომის“ ზღვრამდე. წარმოიშვა ორი „ღერძი“: ვაშინგტონი - ბაქო - ანკარა, ერთი მხრივ და მოსკოვი — ერევანი - თეირანი მეორე მხრივ. ბებერ კონტინენტს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიასა და პეტერბურგის რაიონში ჯარებისა და შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებების წინააღმდეგ რუსეთის მოულოდნელი გამოსვლა სულაც არ იყო ნატოს გაფართოების საწინააღმდეგო რევანში, ეს უფრო კასპიის ზღვაზე პოზიციების გამაგრებას შეუწყობდა ხელს.

თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა აზერბაიჯანის მეზობლებს — საქართველოსა და სომხეთს თავს მოახვია თავიანთ ტერიტორიებზე რუსეთის ჯარისა და ბაზების 25 წლიანი ვადით განლაგების ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი სამხედრო ბაზა იქნება ბათუმში, აზერბაიჯანული ნავთობის ტრადიციულ გადასაზიდ პუნქტში, რომელმაც კვლავ დიდი ინტერესი გამოიწვია მაგნატებში და რომელსაც წინა საუკუნეში ჯერ კიდევ როტშილდი მეურვეობდა — რკინიგზა ბაქო-თბილისი სწორედ მაშინ გაიყვანეს.





რუსეთის პროექტი ყველასათვის ცხადია, მიზნად ისახავს, ხელიდან არ გაუშვას ნავთობგამტარ ტრასებზე კონტროლი და რა თქმა უნდა, შეეცდება ხელი შეუშალოს „შავი ოქროს“ გადაადგილებას, მის ხელთ არის საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, კონფლიქტების გამძაფრება. ბაქოდან ყველა გზა ეთნოკონფლიქტების ზონებზე გადის. ნავთობის პირველი პარტიის (1996 წ). გადაზიდვის რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი იხილება: ირანზე მარშუტი გამორიცხულია ამერიკის პოლიტიკური ემბარგოს გამო, ამიტომ, თეირანი იძულებულია მოსკოვს ჩაეხუტოს;

ნავთობსადენის თურქეთზე გატარებას, რომელსაც მხარს უჭერს ტრიო - ვაშინგტონი — ბაქო — ანკარა, ძალიან აქტიურად უშლის ხელს მოსკოვი;

დღეისათვის არავითარი შანსი არა აქვს ბაქოდან ხმელთაშუა ზღვამდე უმოკლეს გზას — სომხეთის გავლით, თუმცა, ის მარშრუტი აზერბაიჯანსაც აძლევს ხელს, ამით ის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტდა ყარაბაღის საკითხს, მაგრამ ამას არ დაუშვებს მოსკოვი, ის ხომ ერთ წამყვან კოზირს — მთიან ყარაბაღს დაკარგავს.

ამგვარად, ნავთობის პირველი პარტიის გადაზიდვისათვის რჩება ორი ვარიანტი: პირველი — რუსული მარშრუტი: ბაქო — გროზნო — ნოვოროსიისკი. მისი უპირატესობა — ტრასა გაყვანილია, მილებიც სალია და გამოსადეგი, ის მილებიც კი, რომლებიც ჩეჩნეთის ტერიტორიაზეა ჩაყრილი, — ჯარს ჰქონდა ბრძანება — უზრუნველეყო ნავთობმრეწველობის დაცვა.

მეორე ვარიანტი: ქართული მარშრუტი: ბაქო — თბილისი — ბათუმი — ფოთი. ამისათვის საჭიროა პორტების გაფართოება და ომით გამოფიტული ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი მილების გაყვანა.

ანკარა აცხადებს, რომ იგი მზად არის ბაქოდან აღმოსავლეთ თურქეთზე გამოიყვანოს 1637 კილომეტრიანი ტრასა. ნედლეულით ღატაკი ქვეყანა ფიქრობს გეოსტრატეგიული პოზიციების გამაგრებას და რეგიონში ეკონომიკურ ბერკეტად ქცევას. იგი თანახმაა მის ტერიტორიაზე წელიწადში ბაქოდან 25 მლნ და ყაზახეთიდან 200 მლნ ტ. ნავთობმა გაიაროს. „არ გვინდა, ნავთობის გამო მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს“ — აცხადებენ თურქები.

მაგრამ ნავთობი, რომელიც პირველი და მეორე მსოფლიო ომების დასასრული ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო, კვლავ კონფლიქტების საწვავად რჩება. რა გინდ შორი-შორ იყვნენ ერთმანეთისაგან სუეცი, ქუვეითი და ჩეჩნეთი, ნავთობმა ამ ომებში და დამნაშავეობაში წამყვანი როლი ითამაშა. ჯერ ვერ ახდა ფრანგი სენატორის ბერანჟეს სადღეგრძელო ბრიტანელ ლორდ კერზონს რომ მიმართა: „დაე, ნავთობი ომის სისხლისგან მშვიდობის სისხლად იქცესო“.

თუ ამერიკელები და რუსები, მრავალეროვანი კომპანიები და ადგილობრივი ხელისუფლება არ ისწავლიან კასპიის ზღვის ნავთობის შეთანხმებითა და საერთო ინტერესებით გამოყენებას, ალბათ, საერთოდ დაკარგავენ ამ რესურსებს.

„ცაიტი“

# უცხოელი ჯარისკაცების დისლოკაცია ეწინააღმდეგება კონსტიტუციას

მოსკოვში სამუშაო ვიზიტის წინ პრეზიდენტმა სნეგურმა განაცხადა, რომ გამოდის აგრარულ - დემოკრატიული პარტიიდან, რომელიც მისი დასაყრდენი უნდა გამხდარიყო მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. თუ რატომ გააკეთა ეს, ნათელი გახდა კრემლში: პრეზიდენტი ელცინი და სნეგური არ შეთანხმებულან არც დნესტრისპირეთიდან მე-14 არმიის გამოყვანაზე, არც მოლდავეთში დარჩენილი მისი ნაწილების მომავალზე. უფრო სწორად მხარეებმა მოილაპარაკეს დნესპრისპირეთში რუსეთის ჯარების კონტინგენტის შეზღუდვაზე, მაგრამ შემდეგ დაიწყო პრინციპული უთანხმოება. სნეგურის აზრით, კონტინგენტის შეზღუდვა უნდა მოხდეს მოლდავეთიდან ჯარების საბოლოო გამოყვანამდე. ელცინი უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი: ის თვლის, რომ რუსეთის ჯარების სტატუსს „ყოველ წელს შეიძლება გადავხედოთ — ან შევქმნათ ჯარისკაცების ჯგუფი ან საქართველოსა და სომხეთში უკვე არსებული ტიპის სამხედრო ბაზები“.

შინ დაბრუნებულმა მოლდავეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უცხოური ჯარის დისლოკაცია მის ქვეყანაში, ეწინააღმდეგება მოლდავეთის კონსტიტუციას. ამით მან ცხადყო თავისი და აგრარულ-დემოკრატიული პარტიის აზრთა სხვადასხვაობა დნესტრისპირეთში რუსეთის არმიის დისლოკაციის თაობაზე, რადგან ამ აზრს პარტია ლიბერალურად ეკიდება. აგრარულ პარტიაზე უარის თქმით პრეზიდენტი რისკზე წავიდა.ის ცდილობს, მოლდავეთი იქცეს ქვეყნად, რომელიც არ იქნება დაკავშირებული არანაირ სამხედრო ბლოკთან. სნეგურის აზრით, ქვეყანა დგას არჩევანის წინაშე - ან რუსეთი, ან ნატო. მაგრამ აღმოსავლეთის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ კიშინიოვში თითქმის არავის სჯერა, რომ მე-14 არმია 3 წელიწადნახევარში დნესტრისპირეთიდან გავა, თუნდაც იმიტომ, რომ 60-70 % ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული და ტირასპოლისა და კიშინიოვის კონფლიქტებში, წონასწორობის გარანტიად რჩება. ამიტომაც სნეგურის გასვლამ აგრარულ-დემოკრატიული პარტიიდან და დეკლარაციამ ავსტრიის ტიპის ბლოკგარეშე სახელმწიფოს შექმნის შესახებ მისი რეიტინგი 60 %-დან 35 % -მდე ჩამოიყვანა. მე-14 არმიისათვის ბრძოლა და აქედან გამომდინარე დნესტრისპირეთის სტატუსი და პირველი შედეგები მხოლოდ ერთი წლის, პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ იქნება ცნობილი.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ № 45

# ჩეჩნეთის არჩევნები: ტაჯიკური ვარიანტი

ჩეჩენი ხალხის ზოგადეროვნული კონგრესი, რომელსაც დუდაევი უდგას სათავეში, ორი წლის წინ ფაქტობრივად თვითონ დაიშალა. ოპოზიციური მოძრაობები - „დაიმოხკი“ (ხელმძღვანელი ლეჩა უმხაევი) და „მარშო“ (აბდულა ბუგაევი) მოსკოვში უფრო არიან ცნობილნი, ვიდრე ჩეჩნეთში.

წლეულს ჩეჩნეთის კომპარტიის ცკ-ს მეორე მდივანი ლეჩა მაგომადოვი შეეცადა შეექმნა ჩეჩნეთის რესპუბლიკური პარტია, მაგრამ სათუოა, რომ ამან შედეგი გამოიღოს. შეიძლება მოსკოვში მყოფი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — დ. ი. ზავგაევის „რუსეთში ჩეჩნების ასამბლეა“ და უ. გაკაევის „ჩეჩნეთის კულტურული ცენტრი“ დროთა განმავლობაში პოლიტიკურ პარტიებად იქცნენ.

დღევანდელ სიტუაციაში არჩევნებში წარმატების იმედი შეიძლება მხოლოდ ავტორიტეტიან ხალხს ჰქონდეს. მათ შორის ალბათ, ვერ იქნებიან ისინი, ვინც დროებითი საბჭოს მუშაობისას შეილახეს სახელი უ ავტორხანოვი, ბ. განტიმიროვი, ლ. სალიგოვი, რ. მადაევი, აგრეთვე, „ხალხის ნდობის მთავრობის“ მეთაური ი. მამოდაევი. მინიმალური შანსები ექნებათ (თუ გადაწყვეტენ არჩევნებში მონაწილეობას) კავკასიის ხალხთა კონფედერაციის აქტიურ წევრს ი. სოსლანბეკოვს, დუდაევის თანამზრახველებს გ. ელმურზაევს და ბ. მეჟიდოვს.

არჩევნებში წარმატების იმედი, ალბათ არც რუსლან ხაზბულატოვს შეიძლება ჰქონდეს. რუსეთის პარლამენტის ექსსპიკერმა რესპუბლიკისთვის ყველაზე მძიმე დროს — ნოემბერ-დეკემბერში პრორუსული პოზიცია დაიჭირა. ჯერ დუდაევის რეჟიმის დანაშაულობებზე ალაპარაკდა, მერე კი, საერთოდ, ყველაფერს ჩამოშორდა.

საერთო ნაციონალური ლიდერის როლზე ნომერ პირველი კანდიდატი თანდათანობით ხდება ჩეჩენ-ინგუშეთის ყოფილი პარტიული ლიდერი დ. ზავგაევი, რომელიც კრემლისთვის ყველაზე უფრო მისაღები კანდიდატურაა. თვითონ მან გაზეთის კორესპონდენტს განუცხადა: მე ჩეჩენი ვარ და განზე არ გავდგები, მოსკოვი, როგორც არ უნდა შეეცადოს ჩემს ცდუნებასო. ჩეჩნეთიდან მოსკოვში მრავალრიცხოვანი დელეგაციები მას ჩეჩნეთში დაბრუნებას სთხოვენ მაგრამ გამოცდილი ზავგაევი (ახლა ის ელცინის ადმინისტრაციის მრჩეველია) არ ჩქარობს, ვიდრე იქ ომია, არ დავბრუნდები, თუმცა ვთვლი, რომ არჩევნები რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩატარდესო, — განაცხადა ზავგაევმა.

ავტორიტეტული ფიგურაა შეიარაღებული წინააღმდეგობის ლიდერი ასლან მასხადოვიც. რუსეთის ხელისუფლება ალბათ დუდაევს არჩევნებში მონაწილეობის ნებას არ დართავს, რაც არაერთხელ განაცხადეს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდა, მასხადოვ-დუდაევის ბლოკი ფავორიტი გახდება, ამომრჩევლებს შეიარაღებული რუსი ჯარისკაცებიც რომ დაუპირისპირონ.

თუ არჩევნები მაინც გაიმართება, აუცილებლად ტაჯიკური სცენარით ჩატარდება — ჩაწყობით, საერთაშორისო დამკვირვებელთა მინიმალური რაოდენობის დასწრებით, იარაღშემართული რუსი ჯარისკაცების თანხლებით.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ № 45
იბეჭდება შემოკლებით

# თვითმკვლელობა - უმაღლესი მიზანი

თანამედროვე აღმოსავლური რელიგიური ჯგუფები საზოგადოებისთვის დიდად სახიფათოა. ეს ორგანიზაციები მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულს ობობას ქსელივით მოედო - ყოველ დიდ ქალაქში არსებობს სექტა; მათი რიცხვი შვიდასამდე აღწევს. სექტის წევრები ესიტყვოდ ემორჩილებიან „სალვთო" ბრძანებებს. ამ სექტის წევრი ახალგაზრდები არ ეკუთვნიან საკუთარ თავს. მათ ცნობიერებას და ქცევას განსაზღვრავს გურუ - სულიერი მასწავლებელი.

კლიმენს რიუკერი ამ რელიგიის მსახურია. დედას გამოუტყდა - გურუ ჩემთვის ყველაფერია, ის ჩემი მოძღვარია, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი, გურუ მიმაცილებს სიკვდილის სამეფოში. კლიმენსმა გურუს რჩევით ყური ჩამოითალა. ხშირია მედიტაცია, ხელისა და სასუნთქი ორგანოების ვარჯიშის „რელიგია" ხალხს ანადგურებს. ისინი რობოტებად იქცნენ. 36 წლის პედრა მეხუთე სართულიდან გადახტა და დახეიბრდა. სექტის წევრები წყალს ხენზინად აქცევდნენ, განიცდიდნენ ადრე მიუღწეველ „ღვთიურ" გრძნობებს. სწავლობდნენ სიკვდილის სიცოცხლეზე მეტად შეყვარებას. ზაი ბაბასის ეზოთერული სემინარები 300-დან 500 მარკამდე ღირდა. ერთმა გურუ-ჰასანმა დიდი ოთახი დაიქირავა და 15 ახალგაზრდა ქალს ძალდატანებით აცხოვრებდა - მხოლოდ ძველ პურს აჭმევდა. გურუ-ჰასანი დააპატიმრეს, მაგრამ მისი მოძმენი მშვიდად აგრძელებენ „მოღვაწეობას".

დღეს გერმანიაში ინდუისტთა სექტებში 2 მილიონამდე ახალგაზრდა გერმანელია. სექტებში ყოველწლიურად 18 მილიარდი მარკა ბრუნავს. სექტების მიზანია თვითმკვლელობა: 1978 წელს გაიანეში ათასობით კაცმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. 1993 წ. ვაკოში მოხდა მასობრივი თვითმკვლელობა...

-ყოველდღიურად რთულდება სექტანტებთან ბრძოლა, - ამბობს პასტორი ჰანდოუ, - ვირთხების განადგურებას, სჯობს მათი ცხოვრება აუტანელი გახადო. ასევე უნდა მოექცეთ სექტანტებს. დღეს კი, მათ წინააღმდეგ ელემენტარული კანონიც კი არ არსებობს.

„სკანდალი" № 13

# დააპატიმრეს ჩილელი გენერლები

ჩილემ ბოლო პერიოდში ამერიკის ქვეყნებთან შედარებით განვითარების მაღალ დონეს მიაღწია როგორც ეკონომიკაში, ასევე, პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს შედეგია იმ ცვლილებებისა, რაც ქვეყანაში გენერალ აუგუსტო პინოჩეტის. ჩვიდმეტწლიანი სახალხო რეჟიმის შეცვლას მოჰყვა. არჩევნების შედეგად მოსულმა ახალმა სამოქალაქო ხელისუფლებამ, უპირველეს მიზნად, ქვეყანაში მრავლის მომცველი რეფორმების გატარება დაისახა. რეფორმებს ხელს დიდად უწყობდა ის გარემოება, რომ ქვეყნის სათავეში ახალგაზრდა, პროგრესულად მოაზროვნე და, რაც მთავარია, არაკორუმპირებული ადამიანები არიან.

ცვლილებები შეეხო ჯარსაც, რომელიც ქვეყნის მართვაში პოლიციასა და საიდუმლო სამსახურთან ერთად პინოჩეტის ძირითადი დასაყრდენი იყო. ჩილეს მთავრობამ გადაწყვიტა გამოეკვლია პინოჩეტის მმართველობისას ძალოვანი სტრუქტურების დარღვევები, ამ მიზნით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა პინოჩეტის უახლოესი თანამებრძოლების - გენერალ-მანუელ კონტრერასის (რომელიც საიდუმლო პოლიციას ხელმძღვანელობდა) და მისი ასისტენტის, გენერალ პედრო ესპინოზას წინააღმდეგ. ამ ფაქტმა აღაშფოთა პინოჩეტი და მისი თანამოაზრეები. ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბა და თანდათან მღელვარებებში გადაიზარდა. მოსახლეობა ითხოვდა გენერლების დასჯას, მიუხედავად იმისა, მოჰყვებოდა თუ არა ამას პინოჩეტის ერთგული სამხედრო ნაწილების გამოსვლა. ჩილეს პრეზიდენტმა განაცხადა, - პინოჩეტის დიდი დამსახურება აქვს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია კანონს ოდნავ მაინც გადავუხვიოთ, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, კანონის წინაშე პასუხი ყველამ თანაბრად უნდა აგოს. გენერლები დააპატიმრეს. სასამართლომ კონტერასს შვიდი წელი მიუსაჯა, ესპინოზას ექვსი. ქვეყანაში დაძაბულობა დაცხრა. ცხოვრება გრძელდება.





„ნიუზუიქი"

# მუსლიმანი აგრესორები



ებრაელები თავს კარგად შეიარაღებული ჯარით იწონებენ, ამაყობენ, რომ შეუძლიათ მტერს ნებისმიერ დროსა და ადგილას შეებრძოლონ. ახლა უკვე ყველასათვის ცხადი გახდა ისიც, რომ მუსულმან მეომრებსაც კბილებამდე შეიარაღებული არმია ჰყავთ, და როდესაც ისრაელის სპეცნაწილებში ხოცავენ ან იტაცებენ ისლამური მოძრაობის პარტიზანთა ლიდერებს, მუსულმანი ტერორისტები ბუენოს-აირესსა ან ლონდონის ქუჩებში აჩაღებენ ბრძოლას.

როცა ეგვიპტის სამხედრო ძალები მკაცრ ზომებს ილებენ თავიანთ ქვეყანაში სიმშვიდის დასამყარებლად, ექსტრემისტთა საპასუხო რეაქცია ადის-აბებას ქუჩებში მძვინვარებს. შიში მუსულმანი ფანატიკოსების კარგად ორგანიზებული „საერთაშორისო შემოქმედების" მიმართ გაზვიადებულია. ეს არის საერთო იდეოლოგიით შეკავშირებულ ცალკეულ პირთა თუ ჯგუფთა კავშირი. ბევრი მისი ლიდერი ახლა ევროპაშია გახიზნული. ეგვიპტელმა თალაათ ფუად ქაზემმა- რადიკალური ისლამური ჯგუფის ერთ-ერთმა წამყვანმა ლიდერმა, დანიაში მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეიმან ზაჰარი, Neu-Tihacd-ის ხელმძღვანელი (ეს იმ ჯგუფის განშტოებაა, რომელმაც 1981 წელს ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი მოკლა) ჟენევაში ცხოვრობს. პალესტინელი ამერიკელი მუჰამედ სალაჰი უკვე ხუთი წელია ციხეში ზის - იგი ჰამას სამხედრო ფრთას უჭერდა მხარს და ფინანსურადაც ეხმარებოდა. ბევრის ადგილმდებარეობა უცნობია.

ოპოზიციონერი სამხედროები ხშირად დასავლეთის ქვეყნებში პოულობენ თავშესაფარს, რადგანაც არაბეთის სახელმწიფოს მეთაურნი თავიან ოპონენტებს დაუნდობლად უსწორდებიან.

და თუკი მუსლიმანი ექსტრემისტები არ დამშვიდდნენ და მიზნების მისაღწევად ბრძოლა, ჩვეული ხერხებით გააგრძელეს, მშვიდობა მსოფლიოში მუდამ საეჭვო იქნება.

„ნიუზუიქი" 10 VII

# უხუცესი პატიმარი

ტაივანის სამხრეთით, ტაოიანში, ათი წლის პატიმრობა მიუსაჯეს 96 წლის მკვლელს. ჩანგ მინგ-იანი კუნძულის და ალბათ, არა მარტო კუნძულის ყველაზე მოხუცი ტუსაღია.

„იუესა თუდეი"

# ხანძარი იერუსალიმში

ახლო აღმოსავლეთის ცხელი ჰავა ამჟამად საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ტყეებს, რომელიც ოქროზე მეტად ფასობს, არამედ წმინდა ადგილებსაც. არნახული ხანძარი მოედო იზრაელს და ოკუპირებულ ტერიტორიებს. თავდაპირველად იერუსალიმის აღმოსავლეთის ფიჭვნარი დაიწვა, შემდეგ ძლიერი ქარის მეშვეობით ცეცხლი ქალაქის გარეუბნებს წაეკიდა.

„სამი რელიგიის ქალაქი" 6 საათის განმავლობაში ჩამოშორდა თელავივის მთავარ მაგისტრალს. 19 ადამიანმა ძლიერი დამწვრობა მიიღო, წმინდანებს ფერფლი დაეფინა - იერუსალიმის დასავლეთ უბნებიდან გაიყვანეს მოსახლეობა. 20 შენობა დაიფერფლა...

„კომსომოლსკაია პრავდა" № 123

# კლინთონმა ვიეტნამის ომი დაამთავრა

აშშ-ის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, აღადგინოს ვიეტნამთან დიპლომატიური ურთიერთობა, - იტყობინება გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი". ომის დამთავრების ოცი წლის შემდეგ კლინთონს განზრახული აქვს შეურიგდეს ყოფილ მტერს, პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების დარგში, ენთონ ლეიქმა დაასრულა მუშაობა ურთიერთობების პროექტზე, რომელსაც პრეზიდენტი მალე მოაწერს ხელს.

ვიეტნამ-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობის ოფიციალურად ცნობას კლინთონი შემდგომ კვირას გამოაცხადებს.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 123

# სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

ერაყი ოთხი წლის განმავლობაში უარყოფდა, რომ ახორციელებდა ბიოლოგიური იარაღის დამუშავების პროგრამას, - განაცხადა გაეროსთან არსებული მასობრივი განადგურების იარაღისა და სარაკეტო ტექნიკის განადგურების სპეცკომისიის თავმჯდომარემ როლფ ეკეუსმა, მისი თქმით, მორიგი ინსპექციის დროს ერაყის წარმომადგენლებმა ამის თაობაზე ზეპირი განცხადება გააკეთეს. ამის გარდა, ერაყმა გაეროს გადასცა პროგრამის აღწერილობა. ბაღდადი მზადაა გააკეთოს ოფიციალური განცხადება დაწვრილებითი აღწერით.

„კომერსანტ დეილი" № 125

# ირანი ამერიკას სთხოვს არ იღელვოს

ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აკბარ ჰაშემი-რაფსანჯანმა განაცხადა, რომ ირანსა და რუსეთს შორის კარგი დამოკიდებულება სუფევს. მან უარყო ვაშინგტონის მტკიცება იმაზე, რომ ირანი საიდუმლო ძიებებს აწარმოებს ატომური ენერგიის სამხედრო გამოყენების დარგში. რაფსანჯანის თქმით, - „ირანმა ნათლად გამოხატა ზიზღი მასობრივი განადგურების იარაღის მიმართ, რასთან დაკავშირებითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს არაფერი აქვს ასაღელვებელი, თითქოს ჩვენ ბირთვულ იარაღს მივიღებთ. მაგრამ ბირთვულ ტექნოლოგიას, ბუნებრივია, ბევრი უპირატესობა აქვს, ამიტომ, ჩვენ უარს ვერ ვიტყვით მშვიდობიანი მიზნით მის გამოყენებაზე".

რაფსანჯანის ამ მოულოდნელი განცხადების მიზეზი ისევე როგორც მასზე ოფიციალური ვაშინგტონის რეაქცია, ჯერჯერობით გაურკვეველია.

„კომერსანტ დეილი" № 127

# ვაშინგტონში ზტრ-ეზს შეიყვანენ?

აშშ-ის დედაქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა, მოზარდებისათვის საკომენდანტო საათის შემოღება საღამოს 11 საათიდან დილის 6 საათამდე. ვაშინგტონის მერმა, მარიონ ბარიმ უკვე ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც 10 დღის შემდეგ შევა ძალაში. მისი თქმით, ასეთი არაორდინალური ღონისძიების საბაბი გახდა მოზარდებში ძალადობისა და ნარკომომხმარებლების ზრდა. პოლიციას ეძლევა უფლება დააკავოს 11 საათის შემდეგ ქუჩაში უმიზეზოდ მოსეირნე 16 წლამდე ასაკის ყმაწვილი.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 123

# აკრძალვის გაუქმება გლეხებისა და ნარკომანების სიხარულს გამოიწვევს

გაზეთ „ფრანკფურთერ ალეგემეინე ზეითურგ"-ის ცნობით 1982 წელს გერმანიაში აიკრძალა კანაფის მოყვანა, შესაძლებელია უახლოეს დროში ეს აკრძალვა გაუქმდეს.

ფედერალურ მთავრობასთან არსებული კომისია, რომელიც მუშაობს ნარკოტიკულ ნივთიერებათა პრობლემებზე, დასაშვებად თვლის კანაფის მოყვანას. ამ ცნობამ გაახარა გლეხთა კავშირი, რადგან კანაფი ფასეული ნედლეულია როგორც საფეიქრო, ასევე ქაღალდის მრეწველობაში. გერმანიაში ახლა ამ საკითხსაც კი იხილავენ, რამდენად ლოგიკურია კანაფის მოყვანისა და ჰაშიშის წევის აკრძალვა, რადგან მედიკოსთა აზრით, ჰაშიშის წევის ჩვევად ქცევა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ხდება და არაფრით არ არის ალკოჰოლიზმზე უარესი. ამ უკანასკნელს კი უფრო მეტი ზიანის მოყენება შეუძლია, ვიდრე ჰაშიშის წევას. ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ძალზე დიდია ჰაშიშის მწეველთა რიცხვი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომელიც ამას არარეგულარულად აკეთებს და არ არის მიჯაჭვული მასზე, ამიტომ აზრი არა აქვს, მათთვის ბრალდების წაყენებას.

„კომერსანტ დეილი" № 125

# არჩევნები იაპონიაში

მარუტი ცურუნენმა იაპონიის მთავრობაში ადგილის მოსაპოვებლად კომპანია ტრადიციულად დაიწყო. იმ დროს, როცა კანდიდატს მომხრეები ხელისუფლებისკენ გზას უკაფავდნენ, თვითონ ცურუნენი, წარმატების მისაღწევად დიდი გულმოდგინებით ხატავდა ბოდჰიდარმას თოჯინის ცალ თვალს. მეორე თვალი წესით, გამარჯვების შემდეგ უნდა დახატოს. მრუტი-სანმა იაპონურ ტრადიციას ოდნავ გადაუხვია - თოჯინის სამზერი მხატვრისას ჰგავდა - ცისფრად იყურებოდა. მარუტი ცურუნენი ფინელია, ყოფილი ლუთერანი მისიონერი. 1979 წელს იაპონიის მოქალაქე გახდა და სახელიც ამომავალი მზის ქვეყნის შვილთა შესაფერისი დაირქვა. იგი 14 კანდიდატთან ერთად იბრძვის კანავას პრეფექტურის სამი ადგილისათვის. თუ გაიმარჯვებს, იაპონიის ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორგანოში პირველი უცხოელი იქნება.

ცურუნენს გამარჯვების შანსი აქვს. იაპონელებს მობეზრდათ სიცრუე. შარშან ძველ იდეოლოგიურ მეტოქესთან (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისა და სოციალისტური პარტიის სუსტი კავშირი) ალიანსმა უსიამოვნო შედეგი გამოიღო. 23 ივნისი სწორი გადაწყვეტილების მიღების ბოლო შანსია. პოლიტიკური ანალიტიკოსები დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ტომისი მურაიამას არჩევის პერსპექტივას, თუმცა, თავად მურა იამას იმედი აქვს, რომ მისი პარტია დაახლოებით 22 ადგილს მოიპოვებს, სხვების აზრით, მას გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს და ზაფხულის მიწურულს გადადგომა მოუწევს.

ცურუნენმა იაპონურ პოლიტიკაში კვალი უკვე დატოვა - 1992 წ. ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვა და მიიღო ადგილი იუგავაბას ასამბლეაში, სადაც მას ინგლისურენოვანი სკოლა აქვს. ცურუნენი ამ თანამდებობაზე პირველი უცხოელია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ არჩევნით კმაყოფილი არ დარჩენილა.

იაპონელი პოლიტიკოსები ვერ ხვდებიან, რა სჯობს ქვეყნებისთვის, რადგან შიდა პოლიტიკას მეტ დროს ანდომებენ. სწორედ ამ სიტყვების გაგონება სურთ ამომრჩევლებს. ცურუნენის კანდიდატურა მაფიქრებინებს და მაგრძნობინებს, რომ პოლიტიკა მხოლოდ ის არ არის, რასაც ტელევიზორის ეკრანებზე ვხედავთ, ეს რეალობაა, - თქვა მიწის ნაკვეთებით ვაჭრობის აგენტმა კოიოტა ფუძიმ.

ცისფერთვალა კანდიდატს საკმარისი მომხრე აღმოაჩნდა და ემიგრანტის შთამომავლებიც სწყალობენ, ეს კი იაპონელთა აზროვნების პროგრესზე და იდეოლოგიურ ცვლილებებზე მეტყველებს.

„ნიუზუიქი"



# ჰიუ გრანტის იმიჯი საფრთხეშია



34 წლის ბრიტანელი მსახიობი ჰიუ გრანტი, რომელიც ძალიან პოპულარული გახადა ფილმმა „4 ქორწილი და დაკრძალვა", სკანდალურ ამბავში გაება. ლოს-ანჟელესის პოლიციამ დააკავა ის და 23 წლის შავკანიანი მეძავი დივაინ ბრაუნი. ინგლისელმა გირაო შეიტანა და სასწრაფოდ ლონდონში გაფრინდა, სადაც ელოდა 20 წლის თოფმოდელი ლიზ ჰერლი, რომელთანაც დიდი სიყვარული აკავშირებს. რამდენიმე დღის წინ ეკრანზე გამოვიდა მელოდრამატული კომედია „9 თვე" სადაც გრანტი ასრულებს მამაკაცის როლს, რომელიც მალე შვილის დაბადებას ელის. გრანტი კვლავ ამერიკაში წავა, სადაც დაიწყება მისი სასამართლო პროცესი. კომენტატორები თვლიან, კეთილშობილი, დახვეწილი ბრიტანელის იმიჯი ჰიუ გრანტს შეერყა, და ალბათ ეს იმოქმედებს ფილმის წარმატებაზე, მაგრამ ზოგიერთი გამოკითხვის თანახმად, 5-დან 2 ამერიკელს, რომლებიც არ აპირებდენ ფილმის ნახვას, ახლა აუცილებლად სურთ დასწრება

„ნიუზუიქი"



# ამერიკელი ქალები ამერიკულ სატუსაღოებში

მიჩიგანის შტატის ქალთა კოლონია 10 წლის წინ დაარსდა.სატუსაღო კომპიუტერული ცენტრით იწყება. აქ რამდენიმე წუთში მიიღებთ ინფორმაციას ყველა ტუსაღზე: სახელი, გვარი, მეტსახელი და რატომაც ზის, ვინ არიან მშობლები და დღეს რას აკეთებს პატიმარი.

ცენტრში ჩართულია მთელი სიგნალიზაცია. პატიმრებთან შესვლამდე მკაცრად, დეტალურად გაკონტროლებენ, ხელისგულზე უფერო სითხით გაწერენ რომელიმე ასოს, მაგრამ ასო ყოველდღე იცვლება და ეს გასაიდუმლოებულია, რომ მიმსვლელის ნაცვლად ტუსაღი არ გაიპაროს. ინსტრუქცია სრულდება ზედმიწევნით და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, ტერიტორიიდან გასვლისას კონტროლიორი ულტრაიისფერი გაგინათებთ ხელისგულს და თქვენს წინაშე თავისუფლების კარი გაიღება.

კოლონიაში სასჯელს 650 ქალი იხდის, ყველაზე ახალგაზრდა 17 წლისაა, უხნესი - 70 ისა. პატიმართა ორი მესამედი შავკანიანია. ყველა მსჯავრდებულისათვის, ფერის, ასაკის, დანიშნულის ხარისხის მიუხედავად, პირობები ერთნაირია. წვრილმანი ქურდბაცაცები და სამუდამო პატიმრობაში მყოფნი ერთად ცხოვრობენ.

ქალები თავისუფლად სეირნობენ, წიგნით ხელში სადაც ნებავთ, იქ კოტრიალობენ, მაღაზიის წინ ჯგუფდებიან და ჭორაობენ, ქსოვენ, მოდურად აცვიათ და თავსაც მშვენივრად უვლიან

ციხის „ფარდულში" 600-მდე დასახელების საქონელია: პროდუქტი, ტანსაცმელი, კოსმეტიკა, თურმე, თუ რაიმე თვალსა და გულს მოგაკლდებათ, შეგიძლიათ დაუკვეთოთ და თქვენს დაკვეთას შეასრულებენ - საკონცერტო როიალსაც კი მოგართმევენ. ოთახებში ორ-ორნი ცხოვრობენ, კედლები პატარა ბორბლებზეა, ადვილად გადასაადგილებელია და შეგიძლიათ ცვალოთ ტერიტორია, ინტერიერი არც ისე მდიდრულია: საწოლი, ტუმბოები, სკამები, და კარადა, ზოგიერთს პირადი ნივთები ტელევიზორი და ვიდეოც აქვთ.

დერეფნის ბოლოს მინისკედლებიანი საკანია, იქ ათავსებენ ისეთს, ვისაც თვითმკვლელობის სენი შეეყრება და სრულ გამოჯამრთელებამდე თვალს არ აცილებენ.

კოლონია მეტალის ოთხმეტრიანი ბადით არის შემოსაზღვრული, მის ზემოთ მავთულხლართია და შიგ ზედმეტი საიმედოობის გამო, მაღალი ძაბვის დენია გატარებული, გაქცევა გამორიცხულია, საკონტროლო სისტემა მიწაში ორი მეტრის სიღრმეზეა დამონტაჟებული, მესერს მიუახლოვდები თუ არა კომპიუტერი განგაშს ტეხს და ბადრაგი სროლას.

ქალების ბუნტისათვის მზად არიან - დაცვა სპეცტანსაცმლით არის მომარაგებული - კბენა, ფხაჭნა, მუჯლუგუნი, დაკორტნა, ყველაფერს უძლებს იგი, თავზე კი ჩაჩქანი ახურავთ, რომელიც ფურთხისგან დაიცავთ. ციხეს საუკეთესო პროფესიული დონის ტელესტუდია აქვს, ვიდეოფილმების ტრანსლიაციაც შეუძლიათ, აქ ბევრი ნიჭიერი ადამიანი ზის, თანაც სტუდია თავის მხრივ ახალ პროფესიონალებსაც ზრდის, ამერიკაში ნორმალური განათლება დიდი ფული ღირს, აქ კი ინებეთ: მენეჯერი, სცენარისტი, ოპერატორი, დამდგმელი, მზარეული, მებაღე - არჩევანი დიდია, ერთადერთი გამონაკლისია მედდა, საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკაში თუ ერთხელ შემჩნეული ხარ უღირს საქციელში, სამუდამოდ გერთმევა უფლება საქმე გქონდეს ადამიანის ჯანმრთელობასთან.

საჭმელი ერთჯერადი ლამაზი ჭურჭლით რიგდება, სასადილო ერთადერთია - ასე, რომ ტუსაღები ბატონ ოფიცრებთან ერთად სადილობენ, მენიუც ერთნაირი აქვთ, ძალიან მოგაგონებთ რესტორან „მაგდონალდის" კერძებს, შეიძლება სულ თავისუფლად მოგართვან კივის სალათი, ბანანი და ნაღებით მოსხმული ხენდრო

გართობაც, სპორტიც, კულტურული დასვენებაც - ვისაც რა იტაცებს. შტატებში არ არის დღესასწაულებისა და იუბილეებისადმი მიძღვნილი ამინისტიები, მიტევების თხოვნა მხოლოდ ციხის უფროსს შეუძლია, ოღონდ საპატიმროს საბჭოს თანხმობით, რომლის მოსყიდვაც გამორიცხულია.

ამერიკული ციხე არ ისახავს მიზნად ადამიანების ხელახალი აღზრდა, ყველას აქვს უფლება იყოს ისეთი, როგორიც სურს, მაგრამ საზოგადოება რომ არ შეწუხდეს, დროებით იზოლაციაში ამყოფებენ. მიჩიგანის შტატში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

პატიმარი მაინც პატიმარია და მით უფრო ქალი, თანაც დედა, რომლის შვილებმაც მისი არსებობა ლამის მიივიწყეს

არგუმენტი ი ფაქტი № 28

# რადიაციის საშუალებით გაუსწორდნენ

ტრაგიკული შემთხვევა, რომლის შედეგების განსაზღვრა ჯერ შეუძლებელიცაა, მოსკოვის ახლოს მდებარე ქალაქ ჟელეზნოდოროჟნიში მოხდა. როგორც სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსმა განაცხადა, იგი თავის პრაქტიკაში პირველად შეეჯახა ე.წ. „რადიაციულ ტერორიზმს".

შტაბის თანამშრომლები ქალაქის ქუჩებში რადიაციის დონის გეგმიური შემოწმებისას საშინელი ფაქტის მოწმენი გახდნენ, როცა ინსპექტორი მიუახლოვდა სახლთან მდგომ მანქანა „ზილი" 180-ს, ხელსაწყოები ამოძრავდნენ.

რადიაციის დონე მანქანის კაბინასთან 1 რენტგენს შეადგენდა (ეს მიღებულ ნორმაზე მილიონჯერ მეტია).

შემოწმებამ აჩვენა, რომ სასიკვდილო დოზასასხივებდა პაწაწინა, სიგარეტის ფილტრის ზომის კაფსულა. ვიღაცამ ის მანქანის კაბინის კარის შიგნითა ჯიბეში დამალა. ისე რომ, „ზილის" მძღოლი „სტროიმონტაჟკომპლექსის" თანამშრომელი ყოველ წამს რადიაციით სხივდებოდა, ამ დოზას ასობით ადამიანის მოკვლა შეეძლო. საცოდავი მძღოლი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მილიციას ჯერ არავითარი აზრი არ შექმნია იმის თაობაზე, თუ ვის შეეძლო ამის გაკეთება, არც მსხვერპლთა რიცხვია დადგენილი, მარტო მძღოლი ხომ არ დასხივდა, არამედ ყველა, - ვინც მის გვერდით იჯდა, ან მანქანის ახლოს ჩაიარა.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" №127

# აღიარება ტანსაცმლის გახდად არ ღირს, - ამბობს ირანის პრეზიდენტის ქალიშვილი



ირანელი ქალის ტრადიციული, თავით ფეხამდე შავი სამოსი რომ არა, რაფსანჯანის ქალიშვილი, ფატიმა ჰაშემი, საქმიანი ევროპელი ქალბატონი გეგონებათ.

„ირანელი ქალის რეალურ ყოფაზე ბევრი სიცრუეა გავრცელებული. ამბობენ, თითქოს ისლამური სამოსი მარტო უცხო თვალთაგან კი არ იფარავს მათ, გარესამყაროსგანაც ზღუდავსო. ჩვენი ქალების თავისებურება უცხოელებს ისევე ხვდებათ თვალში, როგორც ჩვენსხვისა... ავტობუსში წინა ადგილს მამაკაცებს იმიტომ ვუთმობთ, რომ არ გვსიამოვნებს უცხო მამაკაცებთან ახლოს დგომა. დღევანდელ ირანში განათლებამიღებული ქალების რიცხვი რევოლუციამდელთან შედარებით 72%-ით გაიზარდა. არავინ გვზღუდავს არც პროფესიის, არც სასწავლებლის არჩევაში, პარლამენშიც კი 9 დეპუტატი ქალია.

სპორტი ჩვენთვის ძირითადად ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი საშუალებაა, თუმცა, ქალიშვილებისთვის გვაქვს სპეციალური დარბაზები, მოედნები, საცურაო აუზებიც, იქ მამაკაცი ვერ გაიჭაჭანებს. თუ გოგონამ ოლიმპიური ჩემპიონობა ამოიჭრა გულში, კი, ბატონო, ვინ უშლის?! - თუნდაც, მშვილდოსნობა (ეს კოსტუმი ისლამს არ ეწინააღმდეგება). ისე კი, საერთაშორისო აღიარებაც კი არ ღირს იმად, რომ ტრადიციული სამოსი გაიხადო და ადათ-წესები გათელო.

ირანელ ქალს თუ ოპერაცია დასჭირდა, მამაკაცი ქირურგი გაუკეთებს, ამას შარიათი არ კრძალავს.

ყურანი მრავალცოლიანობას უშვებს, მაგრამ დღევანდელ ირანში იშვიათად შეხვდებით ასეთ ოჯახებს. პირადად მე ეს არ მემუქრება, მაგრამ თუ ასე მოხდება, იმავ წამს განქორწინებაზე ვიფიქრებ.

ქვეყნის პრეზიდენტობა არასოდეს მდომებია. არ მიზიდავს დიდი პოლიტიკა. მამაჩემის შემხედვარე, ვხვდები, რა მძიმე ტვირთიცაა. ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობაც საკმარისია - საქველმოქმედო ფონდებს ვხელმძღვანელობ".

ირანის პრეზიდენტს შეუძლია ენდოს ღვიძლ ქალიშვილს.

„სობესედნიკი" № 25

# ეს მე ვარ, ჩელსი!

ამერიკა შეკრთა პრეზიდენტ ქლინთონის ქალიშვილმა ჩელსი ქლინთონმა კასეტაზე ჩაწერა 9 უხამსი როკ-სიმღერა, მათ შორის პატარა სექსუალური მისამღერი პაულა ჯონსსა და მამამისზე. გახსოვთ პაულა? ეს ქალიშვილი ამტკიცებს, რომ რამდენიმე წლის წინ პრეზიდენტი მის წინაშე შიშველი წარსდგა. ჩანაწერს ჰქვია: „გესმის ჩემი ხმა, ღმერთო? ეს მე ვარ, ჩელსი". ის გვიამბობს მოზარდი გოგონას ცხოვრებაზე, მის პრობლემებზე. პრიმიტიული მაგნიტოფონის საშუალებით ჩაწერილ კასეტას საზოგადოება ჩელსის თანაკლასელის საშუალებით გაეცნო რომელმაც ის გაავრცელა. ამბობენ, რომ ქლინთონის ქალიშვილმა ჩანაწერები სკოლაში მას შემდეგ მიიტანა, როცა მშობლებმა ვუდსტოკის ცნობილ როკ-ფესტივალზე არ გაუშვეს. ამიტომაც ყველაფერი დაამღერა, რაც გულში ჰქონდა.

„ჩასტნაია ჟიზნ" №14

# მოსკოვის უცნაურობა

ადრე საბჭოთა კავშირში დაპატიმრების შემდეგ ადამიანს პარტიიდან, პროფკავშირიდან, შემოქმედებითი გაერთიანებიდან რიცხავდნენ. ახლახან კი, უნიკალური მოვლენა მოხდა. პოეტი ალინა ვიტუხნოვსკაია „ბუტირკაში" პატიმრობის დროს მოსკოვის მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს. რეკომენდაციები მისცეს იუნა მოროცმა, იური ლევიტინსკიმ, ალექსანდრ ტკაჩენკომ და ოლგა კუჩკინამ. 29 ივნისს ალინა ვიტუხნოვსკაიას გამოუწერეს მწერალთა კავშირის წევრობის ბილეთი №07774.ვულოცავთ!

„კომსომოლსკაია პრავდა" №123

# მოსკოვის ყაზარმებიდან მანიაკები გამოდიან

მოსკოვის ოლქის ოდინცევოს რაიონში საზარელი მკვლელობა მოხდა - მკვლელები - სამხედრო მოსამსახურეები არიან. მოჟაისკის გზატკეცილზე იპოვეს ქალისა და მამაკაცის საშინლად დასახიჩრებული გვამები. მამაკაცს სასქესო ორგანოები ჰქონდა მოჭრილი და იქვე ბუჩქის ქვეშ ეყარა, ქალი მთლიანად იყო გაფატრული. ძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობის დღეს კუბინკის მცხოვრები ცოლ-ქმარი გზატკეცილზე ჯარისკაცებს გადაეყარნენ, შეხვედრა ჩხუბით დამთავრდა, როგორც ერთ-ერთმა დაკავებულმა თქვა, მას არ დაურტყამს, მაგრამ ცხედრებს ორივე ასახიჩრებდა. ახლა გამოძიება ადგენს, რატომ აღმოჩნდნენ ჯარისკაცები არადანიშნულების ადგილზე და არიან თუ არა ფსიქიურად ნორმალურები..

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" №126

# ძაღლმა 200 გირვანქა მარიხუანა აღმოაჩინა

აშშ-ის და მექსიკის საზღვარზე მომხდარმა ფაქტმა თავზარი დასცა იქაურ ინსპექტორებს ძაღლმა ავეჯის მანქანაში 200 გირვანქა მარიხუანა აღმოაჩინა. მაშინ ამ საქმის ბევრი მონაწილე დააპატიმრეს. მაგრამ ვაჭრობა ამით არ დასრულებულა. სამი თვის წინ, ტეხასში ელ პასოში, ერთ მენონიტს ტრაქტორის ტრაილერში მიმალული 761 ფუნტი არალეგალური თამბაქო ჩამოართვეს.

სამწუხაროდ, ამგვარი დიდი პარტიის კონფისკაციაც კი აღარ გვაოცებს, განაცხადა საბაჟოს უფროსმა ჯორჯ მაქმენმა.

მენონიტთა დასახლება ელ პასოდან 200 მილზე მდებარეობს. იგი 1980 წლიდან 500000 კაცამდე გაიზარდა. კარლოს სალინარის ეკონომიკური რეფორმების კრახმა, რამოდენიმე წლიანმა გვალვამ და პესოს კრიზისმა მენონიტი ფერმერები ძალზე გაალარიბა. შიმშილმა ისინი აიძულა ამ საშინელი საქმიანობისათვის მოეკიდათ ხელი. კანადელთა აზრით, უინფორსის, ონტრიოს ხიდზე გადატანილი მარახუანის მეხუთედი მექსიკელი მენონიტების კისერზეა.



მექსიკის პოლიციამ მენონიტების ყანებში მარიხუანის პლანტაციები აღმოაჩინა. არავინ იცის, რა ნაყოფს გამოიღებს პოლიციის შეფის გაფრთხილება მარიხუანა იმსხვერპლებს მენონიტ ახალგაზრდობასო.

შარშან ზაფხულს საზღვარგარეთ მარიხუანის გადატანისთვის დააპატიმრეს მეფაბრიკე კორნელიო პეტერსის ვაჟი, 32 წლის ენრიკე. მენონიტებს ხელისუფლების სიმკაცრე თუ გადაარჩენთ

„ნიუზუიქი"

## ცეროდენა უზის კომპიუტერს



ათი წლის ტორონტოელი ლაურა ლეილინი 9,5 კილოგრამს იწონის და აცვია თოჯინის კაბები.

იმდენად პატარა და უმწეოა, რომ ლიმონათის ქილასაც ვერ ხსნის. ლაურა ძვლების დაავადების გამო არ იზრდება, მაგრამ დიდი ოპტიმისტია, დადის სკოლაში, უყვარს თანაკლასელები. გადაადგილებას ელექტროსავარძლით ახერხებს. სარგებლობს პირადი კომპიუტერით. - ბიჭებს არ სურთ ჩემთან გართობა, - ამბობს ლაურა, გოგონები კი სიამოვნებით მეთამაშებიან. ნებისმიერი ანთებითი დაავადებანი ლაურასთვის საბედისწეროა. ძვლები სუსტი, ხრტილისებური აქვს, ამიტომ ხშირად უტყდება, ექიმების გაუფრთხილებლობის გამო სხეულის სხვადასხვა ორგანო 35-ჯერ მოტყდა. მიუხედავად ამისა, ლაურა კარგად ცურავს, თამაშობს, და მის სახეზე მუდამ ღიმილი ბრწყინავს.

„სკანდალი" № 13

## „ტიტანიკს" ფარაონთა წყევლამ უწია

„ტიტანიკი" 1912 წ. დაიღუპა. ეს ამბავი დღემდე იდუმალებითაა მოცული - მიზეზი დაუდგენელია. „ტიტანიკი", მაშინ, მსოფლიოში ყველაზე დიდი, სწრაფი და მტკიცე ხომალდი იყო. ამ ბოლო დროს თითქოს ფარდა ეხდება საიდუმლოებას. სანამ „ტიტანიკი" აისბერგს შეეჯახებოდა, გამოცდილი კაპიტანი ედვარდ სმითი უცნაურად იქცეოდა. ხომალდი ძალიან ჩქარა მიცურავდა. შეჯახების შემდეგ კაპიტანმა sos-ი მეტისმეტად გვიან გადასცა. რა დაემართა? „შპიგელის" ვარაუდით, შტურვალის გვერდით, კაიუტაში ესვენა ეგვიპტის ფარაონ ამენხეტონ IV დროინდელი წინასწარმეტყველის მუმია, რომელსაც განსასვენებელში იფარავდნენ ამულეტები, ოსირისის უცნაურ წარწერიანი ქანდაკება - „გაიღვიძე და თვალის ერთი გადავლებით იზეიმებ მოწინააღმდეგეებზე". იქნებ, მუმიის მახლობლობამ იმოქმედა კაპიტანზე? ანდა ფარაონთა წყევლამ? ოკულტიზმი იყო? ჯადოქრობა? მაგია?

კატასტროფა კი მოხდა.

ფიზიკოსებმა კარგა ხანია დაადგინეს, რომ სამარხები საგანგებოდ იყო მოწამლული. პირამიდების მასობრივი ძარცვის დროს საშინელი ეპიდემიები ვრცელდებოდა. დაეცა დიდებული ეგვიპტური კულტურა. გადაგვარდა ხალხი...

მარტო „ტიტანიკს" არ უწია წყევლამ!

`skandali~ # 13



## გამოუცნობი ფრესკები

მაიას სამეფოს დედაქალაქის, ჩიჩენიცას ნანგრევები ძირფესვიანად არის გამოკვლეული, მაგრამ უნდა გენახათ არქეოლოგთა ევროპული ნაკრები ექსპედიციის წევრის, ფრანგი პროფესორის, კლოდ ბერაკის განცვიფრება, როდესაც ათასგზის შესწავლილ „მეომართა ტაძარში" კიდევ დიდ საოცრებას წააწყდა. ყველა მკვლევარს სწამდა, რომ ტაძრის კედელზე გამოხატული იყო რომელიღაც რელიგიური ცერემონიალი. ერთ-ერთმა არქეოლოგმა ჩანახატების გაკეთების დროს აღმოაჩინა რობოტების განსაცვიფრებელი სურათი „მეომართა ტაძრის" ფრესკის სიუჟეტი ასეთია: მიმდინარეობს ბრძოლა, შეიარაღებული არიან არა მარტო ისრებითა და ჯოხებით, არამედ უცნობი ცეცხლსასროლებით.

მეომართა ხელში. ცეცხლს აფრქვევს უცნობი იარაღი, ცეცხლით სუნთქავს კედლებზე გამოხატული ყოველი საგანი, რომელიც მიწაზე დგას, სურათის ქვედა ნაწილში შუაში დგას დიდსათვალიანი ადამიანის მსგავსი ფიგურა. ცეცხლსასროლი იარაღი. ჩვენი ფანტაზიებისა და ემოციების მიუხედავად, ფაქტის წინაშე ვდგავართ და ვხედავთ უცნობი მხატვრის მიერ ასეული წლების წინ შესრულებულ სურათს, რაც მოგვაგონებს თვითმოქმედ მეომარ რობოტს, რაც მთავარია, იგი ძალიან წააგავს დღევანდელს.

„სკანდალი" 13

## სკანდალურად ცნობილ წიგნს კიდევ უფრო სკანდალური ფურცლები შეემატა

ამ რომანის შესახებ ჰემინგუეი წერდა: „ეს საუკეთესო წიგნია, ყველაფერი რაც ამერიკაში იწერება მისგან გამოდის. მანამდე არაფერი არ იყო. შემდეგაც მისი ბადალი არაფერი ყოფილა". საუბარია მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალზე", წიგნზე, რომელიც თავის დროზე ამორალურად, ვულგარულად იქნა აღიარებული. ტვენი ვარაუდობდა, რომ ანტირეკლამა 25 ათასი ეგზემპლიარით მეტი წიგნის გაყიდვის საშუალებას მისცემდა და არც შეცდა: რომანმა ინტერნაციონალური წარმატება მოუტანა და ოც ენაზე ითარგმნა ჩვენს დროში. ისევე, როგორც მაშინ, ამჯერად foliTiqal qoreqTionis-ს პოზიციიდან გამომდინარე, თავს ესხმიან, - აქაოდა ძალზე ხშირად იხმარებაო სიტყვა „ზანგი". ეს სიტყვა თანამედროვე ამერიკაში დამამცირებლად ჟღერს. სკოლებისთვის მისი ცენზურაგავლილი ნაწილები იბეჭდება. ამიტომაც, სენსაციად იქცა ცნობა იმის თაობაზე, რომ ნაპოვნია წიგნის კიდევ 15 გვერდი, ამასთან, სკანდალური შინაარსისა. ხელნაწერი აქამდე 650 გვერდს ითვლიდა და ქალაქ ბუფალოს ბიბლიოთეკაში ინახებოდა, მაგრამ ახლახან გაზეთებმა „sandei Taims" და „new-iork-მა" მკითხველებს აცნობეს, რომ ნაპოვნია „ჰეკლბერ ფინის" ხელნაწერის კიდევ 15 უცნობი გვერდი. ამასთან, ნაპოვნია იქ, სადაც ზღაპრის მიხედვით მართლა უნდა ყოფილიყო ჰოლივუდში: ერთ-ერთი სახლის სხვენზე, ძველ ჩემოდანში. სახლის პატრონია მისის გრუკი, იმ ადვოკატის შვილიშვილი, რომელსაც მარკ ტვენმა ხელნაწერი აჩუქა. ამ 15 ფურცელზე ჰეკი და შავკანიანი მონა ჯიმი მოჩვენებებზე ლაპარაკობენ. მაინც რატომ ამოიღო ეს გვერდები მწერალმა რომანიდან? ვარაუდობენ, რომ ლის არ მოეწონა ჰეკლბერისა და ჯიმის საუბარი და მეუღლეს მისი ამოღება მოსთხოვა. ცნობილია, რომ მარკ ტვენი ლის უკითხავდა ხელნაწერებს, და როცა ქალს რაიმე არ მოსწონდა, მაშინვე სავარძლიდან დგებოდა და შვილებს მიმართავდა: „წავიდეთ, გავიაროთ, ბავშვებო", ეტყობა, ამ 15 გვერდის კითხვისასაც ასე მოხდა და ავტორმა დაივიწყა მათი არსებობა.

„კომერსანტ დეილი" № 127

## „ჩემი მიზანი სქესის შეცვლაა"...

30 წლის ინგლისელი პოლ მაქრაკენი სქესის შეცვლას აპირებს, რათა დაემსგავსოს თავის იდეალს - პრინცესა დაიანას, - იუწყება ყოველკვირეული ჟურნალი „სანი".

პოლმა ახალი სახელი - ალექსანდრა დაირქვა. დედაკაცურად მორთული „ალექსანდრა" წყლის ორი წვეთივით ჰგავს მშვენიერ დაიანას და თავს მის ორეულადაც მიიჩნევს. სამეფო ოჯახი ამას აინუნშიც არ აგდებს. პრინცმა ჩარლზმა თავისი საქველმოქმედო ფონდიდან სამი ათასი დოლარიც კი გადაურიცხა პროფესიული საქმიანობის დახვეწისთვის. პრინცს არ აღელვებს მაქრაკენის ოცნება, ის კი ოპერაციის გაკეთებას ჩქარობს, სული მისდის, სანამ თავისი იდეალის სრული ასლი გახდებოდეს.

„სკანდალი" № 13

## ჟირინოვსკის სიყვარული კაშპიროვსკის სისხლს უჩქროლებს



სახელმწიფო დუმის დეპუტატი, ფსიქოთერაპევტი ანატოლი კაშპიროვსკი შემდეგ არჩევნებშიც აპირებს მონაწილეობის მიღებას ვლადიმერ ჟირინოვსკისთან ერთად, რადგან „ძალიან უყვარს და აფასებს მას". როცა ბატონი კაშპიროვსკი ფრაქციის სხდომებზე მიდის, ხედავს: „ხალხი თითქოს ბნელშია, ბევრი რამ არ ესმით". და მხოლოდ ვლადიმერ ვოლფოვიჩს შეუძლია, კაშპიროვსკის აზრით, თვალები აუხილოს მათ და სიტუაციაში გაარკვიოს. სიტუაცია კი, თვლის ფსიქოთერაპევტი, სამწუხაროა: „რუსეთი მსხვერპლად არის შეწირული".

ამაში კი, როგორ უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოთ, კაშპიროვსკი საბოლოოდ დაარწმუნა კვიპროსზე ყოფნამ. დეპუტატი ნიქოზიაში ცხოვრობდა და ყოველ დილას მუეძინის ხმა. ლოცვა აღვიძებდა, მეზობელი მეჩეთიდან რომ ისმოდა. „რა შუაშია აქ თურქეთი? - ფიქრობდა კაშპიროვსკი, როცა იხსენებდა ჟირინოვსკის წინასწარმეტყველება იმის თაობაზე, რომ თურქეთი სულ უფრო მეტსა და მეტ ტერიტორიას დაიკავებს. „ახლა მას თვალი ყირიმზე უჭირავს", - აღშფოთებულია კაშპიროვსკი, - იქ უამრავი მუსულმანი ცხოვრობს, უკრაინას სურს თვითონ მიიტაცოს იგი. სინამდვილეში კი ყირიმი დიდი ხანია თურქეთისაა. ჟირინოვსკის გარდა არავინ ლაპარაკობს იმ სერიოზულ საფრთხეზე, რომელიც რუსეთს ემუქრება, უპირველეს ყოვლისა, ეს არის საფრთხე თურქეთის მხრიდან.

ბატონ კაშპიროვსკის ვლადიმერ ვოლფოვიჩი სრულიად უანგაროდ იმიტომ კი არ უყვარს, რომ იგი მას მომავალ ხელისუფლებაში ჯანმრთელობის მინისტრის პოსტს სთავაზობს, სულაც არა! კაშპიროვსკის არ უყვარს, როცა როგორც ექიმს, ისე მიმართავენ, მისი სამუშაო - „ფილოსოფიურია", ჩინებულად ერკვევა ადამიანის ფსიქიკაში. რაც შეეხება თანამდებობას, კაშპიროვსკი დარწმუნებულია. რომ თუ კი პრეზიდენტობას მოინდომებს, სავსებით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ყველა, ერთად აღებულ კანდიდატს.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" № 125

## საუკუნის ახალი პროექტი

ესპანეთისა და მაროკოს მეფეები შეთანხმდნენ, რომ 2003 წ. ჰიბრალტარის ქვეშ გათხარონ გრანდიოზული გვირაბი, რომელიც ევროპასა და აფრიკას დააკავშირებს. გვირაბის სიგრძე 38,6 კმ, ხოლო მაქსიმალური სიღრმე - 412 მ. იქნება.

პროექტის განსახორციელებლად ესპანეთისა და მაროკოს მონარქებმა 1979 წლიდან დიდი სამუშაოები ჩაატარეს. მეცნიერებმა ყველანაირი შემოწმების შემდეგ დაასკვნეს, რომ გვირაბის გათხრა შეიძლება, რასაც სეისმოლოგებიც დაეთანხმნენ.

თავდაპირველად უნდა აგებულიყო 28 კმ-იანი ხიდი, მაგრამ მიწისქვეშა ვარიანტი უფრო ხელსაყრელი გამოდგა. წყლისქვეშ მგზავრობა 30 წთ. გაგრძელდება, 10-12 ვაგონიანი მატარებლები 16 მლნ. მგზავრს გადაიყვანენ. მშენებლობა დაახლოებით 10 მლრდ დოლარი დაჯდება. ამჟამად ეძებენ გავლენიან ინვესტორს. შესაძლო კანდიდატები არიან ევროკავშირის ქვეყნები და სპარსეთის ყურე.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 124

## ჯავშნიანი „მერსი" ჩვეულებრივისაგან არაფრით განსხვავდება...



[illegible] წყაროებით შევიტყვეთ, რომ მალე ერთ-ერთი რუსი ბანკირი თავისი ჩვეულებრივი „მერსედეს-600"-დან გადაჯდება ჯავშნიან „მერსედეს 600"-ში, ეს სულ 890 ათასი მარკა დაუჯდება.

პირობები უჩვეულოა. დაკვეთის შესრულება მიანდეს ერთ-ერთ სპეციალიზებულ ფირმას, რომელიც საწყისად „მერსედესის" სერიულ მოდელს აიღებს და კარდინალურად გადააკეთებს. დამკვეთის მთავარი მოთხოვნაა - მანქანა გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდეს სხვა თანამოძმეებისაგან. ტექნიკური წვრილმანებიდან მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ „მერსედესზე" დააყენებენ 800 ცხენისძალიან ძრავას, რომელიც 7,5 წამის განმავლობაში შეძლებს 100 კმ სიჩქარის განვითარებას. მანქანის ჯავშანი კი ისეთი ახალი მასალისგან დამზადდება, რომ მგზავრებს ყუმბართმტყორცნიც კი ვერაფერს დაუშავებს.

კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს: თუ რაიმე გზით გაჟონავს ინფორმაცია ტექნიკურ თავისებურებებზე, გამჟღავნდება დამკვეთის ვინაობა ან ბანკის სახელწოდება, ფირმა მილიონი მარკით დაჯარიმდება.

ფირმამ ივალდებულა პატრონის სიცოცხლის მანძილზე მანქანას ტექნიკური მომსახურება უსასყიდლოდ გაუწიოს.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 122

## საქველმოქმედო „რეისები"

კორდარეს ლორი ყოველდღე რკოს მიირთმევდა. გლეხს უკვირდა ნეტა, ჩემს „ემელს" ამ ნუგბარით ვინ უმასპინძლდებაო. დაუდარაჯდა და რა დაინახა: დილიდან საღამომდე კოდალას თითო-თითო რკო დაჰქონდა ღორთან - დღეში 100 საქველმოქმედო „რეისს" აკეთებდა და დღეში სამჯერ ღრუტუნა კალორიულ კერძს მიირთმევდა. თან ღორულად სულაც არ იქცეოდა - ელოდა რკოს დაგროვებას და მერე მიუჯდებოდა სუფრას გასუქდა ღორი. გლეხმა ტყეში სხვა საოცრებაც იხილა - კოდალას ზამთრისთვის ხის ფუღუროში რკო დაეგროვებინა. ეტყობა კარგად იცოდა, რომ ემელის ნუგბარი ზამთარში თოვლის ქვეშ მოექცეოდა. კორდარემ აღარ დაკლა ჩასუქებული ღორი. განა ღირდა ხორცის გამო ასეთი მეგობრობის შეწყვეტა?

„სკანდალი" № 13

## „ჩემს კანს სიკვდილის შემდეგ გავყიდი"...



ბრიტანელი ტომ ლეპარდი დედამიწაზე ყველაზე ტანმოსვირინგებული ადამიანიაო, - გვაუწყებს ჟურნალი „რეფლექსი". გინესის რეკორდების წიგნის კომისიამ იგი ამ წიგნში შეყვანის ღირსად სცნო. ლეპარდის კანის 99,2% მეტად ეგზოტიკურადაა ტატუირებული. სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო და ისიც რამდენიმე თვე უდრტვინველად უძლებდა ნემსით დაჩხვლეტას. რეკორდსმენმა ჟურნალისტებს განუცხადა, - ჩემს კანს სიკვდილის შემდეგ გავყიდიო. მანამდე კი ლეოპარდივით ტანმოხატული ლეპარდი მუშტარს ეძებს - ეგებ, ავანსი მომცესო. იმედი აქვს დროდადრო მისი შიშველი გამოჩენა რესტორნებსა თუ სხვა მისთანა დაწესებულებებში დიდად დაამშვენებს იქაურობას და მაყურებელს დაატკბობს. ლეპარდი უცოლოა და სვირინგით რომელიმე ეგზოტიკური ქალიშვილის ცდუნებასაც აპირებს.

„სკანდალი" № 13

## ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა 5 პარტია ჩაატარა, ხუთივე ვოკალური



გასულ კვირას მოულოდნელ ამპლუაში წარსდგა ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილ სმისლოვი. ხანდაზმულმა მოჭადრაკემ ოპერის სცენაზე გამოსვლა გადაწყვიტა. მისი გამოსვლა კონსერვატორიის რახმანინოვის დარბაზში შედგა. როგორც დამსწრეები ამტკიცებენ, მას არც ოპერის მომღერლად გამოსვლისას შეურცხვენია თავი. შეკრებილმა საზოგადოებამ - მისმა მეგობრებმა, ნაცნობებმა, სიამოვნებით აღნიშნეს, რომ 74 წლის მოჭადრაკეს მშვენიერი ბარიტონი აქვს. მან გლინკას, რახმანინოვისა და ჩაიკოვსკის 5 რომანსი შეასრულა... თურმე, ახალგაზრდა სმისლოვი არჩევანის წინაშე იდგა - მომღერალი გამოსულიყო თუ ჭადრაკს გაჰყოლოდა, მაგრამ სკკპ-ს ყოვლად შემძლეობითა და მისივე დირექტივით ჭადრაკი ამჯობინა. გულში კიმუსიკის სიყვარული ყოველთვის ჰქონდა და აი, ახლა გამოავლინა კიდეც.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" № 126

## ამხანაგური მატჩი - დუმა და რადა

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი რუსეთის სახელმწიფო დუმის და უკრაინის უმაღლესი რადას გუნდებს შორის სენსაციით დაიწყო: ტრიბუნაზე გამოჩნდა პრეზიდენტი ელცინი. გამობრწყინდა სახელმწიფო თავმჯდომარე ივან რიბკინი, რომელმაც ავადმყოფობის გამო ბურთის პირველ სიმბოლურ დარტყმაზე უარი განაცხადა. დუმის წარმომადგენელი ვალერი სიჩევი უკრაინის გუნდის შუაგულში შეიჭრა და ორჯერ მიაყენა დამარცხება ტარას ბულბას შთამომავალთ; ბოლოს, უკრაინის მეკარე, გრიგორი მანჩურენკო ფეხმოტეხილი გაიყვანეს.

მეორე ტაიმში რუსეთის გუნდმა უმაღლესი რადის პრეზიდიუმის წევრს, გეორგი ფილიჩუკს ნება დართო ერთი ბურთი გაეტანა. მაგრამ ამან გუნდის ბედი მაინც ვერ გადაწყვიტა. ელცინი კმაყოფილი დარჩა. რუსეთმა მოიგო ანგარიშით 2:1.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 123

## 2 მილიონი დოლარის მიღების შემდეგ

იტალიის ფეხბურთის ნაკრების ლიდერმა რობერტო ბაჯომ განაცხადა, რომ „მილანში" გადადის. ეს ინფორმაცია ტურინის „იუვენტუსმაც" დაადასტურა, სადაც ბაჯო გასულ სეზონში გამოდიოდა. ბაჯოს თქმით, მან უკვე ხელი მოაწერა წინასწარ ხელშეკრულებას „მილანთან", სადაც წელიწადში 2 მილიონ დოლარს მიიღებს.

„მილანისა" და „იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ ბაჯოს „მილანში" გადაყვანა უფრო ადრე გადაწყვიტეს, ვიდრე ამ აზრს თვითონ ფეხბურთელი გამოსთქვამდა. ბაჯომ „იუვენტუსში" 5 წელი გაატარა, მისი კონტრაქტი 30 ივნისს დამთავრდა. ხელმძღვანელობამ არ მოინდომა იმავე ფინანსური პირობებით დაეტოვებინა სახელგანთქმული ფეხბურთელი. „იუვენტუსში" გატარებული წლები ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩემს კარიერაში, ამიტომაც, არასოდეს დამავიწყდებაო, - განაცხადა ბაჯომ.

როგორც ჩანს, მხოლოდ ბაჯოს წასვლის შემდეგ მიხვდა ხელმძღვანელობა როგორი ფეხბურთელი დაკარგა და თავის გასამართლებლად გამოუშვა ნოტა, სადაც ნათქვამია: „ბაჯო „მილანიდან" ფინანსური უთანხმოების გამო კი არ წავიდა, არამედ იმიტომ, რომ სურს მსოფლიოს ერთ-ერთ პრესტიჟულ კლუბში ითამაშოსო.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" № 127

## იმპოტენტებო, იყავით მშვიდად!

აშშ-ში სულ მალე გამოჩნდება მაღალეფექტური პრეპარატი იმპოტენციის სამკურნალოდ. მის მასობრივად გამოშვებას პირველად მხარი მთავრობამ დაუჭირა. ცდებმა საუკეთესო შედეგი უჩვენა. კომპანია „აპჯონმა" ამბულატორიულ პირობებში შეამოწმა პრეპარატის სამკურნალო ნივთიერება და სავსებით საიმედოდ მიიჩნია. პრეპარატმა, რომელსაც „კავერჯექტი" ჰქვია, პაციენტთა 80%-ზე მაღალეფექტურად იმოქმედა.

„კავერჯექტის" ზედმეტმა გამოყენებამ შეიძლება ნეგატური შედეგი მოგვცეს.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 123

## კოცნა მავნებელია?!

გიფიქრიათ ოდესმე, რა არის კოცნა? ყოველი კოცნისას მარტო გრძნობებს კი არ გამოხატავთ, არამედ 250 სახეობის ბაქტერიას და ვირუსს, 9 მლ წყალს, 1,5 მგ ცხიმსა და ცილებს გადასცემთ პარტნიორს. ხომ არ სჯობდა, სიყვარული წერილობით გაგემჟღავნებიათ?

„ნიუზუიქი"

## აინშტაინი ძილიდან გვიმზერს

ჰენრი აბრამსს უნიკალური კოლექცია აქვს - აინშტაინის თვალები. ჰენრი აბრამსი დიდი ფიზიკოსის მეგობარი და პირადი ექიმი იყო. სიკვდილის წინ აინშტაინმა მოითხოვა, გარდაცვალების შემდეგ მთლიანად დამწვითო. თხოვნა არ შეუსრულეს. ექიმმა თომას ჰარვეიმ ფიზიკოსის ტვინი ამოიღო. ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ჰენრი აბრამსმა აინშტაინის თვალები სპეციალურ ხსნარში მოათავსა. 80 წლის აბრამსი დღემდე ინახავს ამ უნიკალური „ანგელოზის" თვალებს, წელიწადში 5-6 ჯერ ამოწმებს.

ამ რელიქვიისათვის აბრაამს მილიონობით დოლარს სთავაზობდნენ, სხვათა შორის მაიქლ ჯექსონიც. აბრამსმა ყველა ცივი უარით გაისტუმრა - 40 წელია, აინშტაინის თვალებით მხოლოდ ის ტკბება.

„სკანდალი" № 13

## ისწავლის კაცობრიობა ყურებით ხედვას და თვალებით მოსმენას?

ირენ შმიდტი ღვინის გემოს კი არ გრძნობს, არამედ ფერს. ამგვარ ფენომენს ექიმები „სინესტრიას" უწოდებენ. ეს არის გრძნობათა ორგანოებისა და თავის ტვინის ქერქს შორის კავშირის დარღვევა.

ამერიკელი ნევროპათოლოგის, რიჩარდ ციტოვიჩის დასკვნით, მილიონი კაციდან 10-12 „სინესტრულია". ასეთი ადამიანები მელოდიის მოსმენისას ხედავენ ფერებს, ან ფერთან შეხებისას ესმით მელოდია.

ციტოვიჩმა მიაკვლია, რომ თურმე ვასილ კანდინსკი ოპერას ფერებით აღწერდა. მისთვის ფერადი იყო ცეკვა, მუსიკა.

ციტოვიჩმა გამოიკვლია ინგლისელი სინესტერიკი, მაიქლ უოთსონის „ტომოგრაფიულმა" ანალიზმა უჩვენა, რომ ცვლილებები ხდება „ლიმბიურ სისტემაში", სადაც მიმდინარეობს გრძნობათა ორგანოების რეაქციების ტრანსფორმაცია.

კვლევის ანალიზის გამოქვეყნების შემდეგ ციტოვიჩმა 60-ზე მეტი სინესტერიკის წერილი მიიღო. გამოირკვა, რომ ეს უცნაურობა სჭირს სამჯერ მეტ ქალს, ვიდრე მამაკაცს. სინესტრიკები გარე სამყაროს დამატებითი განზომილებით აღიქვამენ - არსებობს ფერის სურნელება, მელოდიის ფერი... გნოსერის სკოლა ამტკიცებს, რომ სინესტერია ადამიანის განვითარების ახალი საფეხურია და ჩვენს საუკუნეში რჩეულთა ხვედრი - სინესტრიკები ბრწყინვალე მათემატიკოსები და ფენომენური მეხსიერების პატრონნი არიან.

იგი, ეტყობა, მე-3 ათასწლეულის ფენომენია.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 124

## აირტონ სენას საბედისწერო დღე

1994 წლის იმ საბედისწერო დღეს, როცა ბრაზილიელი ავტომრბოლელი აირტონ სენა თავის „ვილიამს-რენოთი" იტალიის ავტოდრომების ტრასაზე მიჰქროდა, პილოტმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ სიცოცხლის რამდენიმე წამიღა რჩებოდა.

საათში 310 კილომეტრის სიჩქარით მიმავალი მანქანის საჭე სენამ მიაბრუნა და იგრძნო, რომ საჭეს ვერ იმორჩილებდა. მრბოლელმა სიჩქარე საათში 216 კილომეტრამდე შეამცირა. დამუხრუჭებამ „ვილიამსი" გვერდზე გადააგდო და იგი ცხვირით შეეჯახა ბეტონის კედელს. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ნამსხვრევებად აქცია მანქანის წინა ნაწილი, პილოტის ჩაფხუტი გასკდა, ვერ გაუძლო კაბინის უკანა კედელზე შეჯახებას, ექიმების მტკიცებით, ასეთი ტრავმის შემდეგ სენას გადარჩენის მინიმალური შანსიც აღარ ჰქონდა. ავარიის შემდეგ იტალიის ხელისუფლებამ შექმნა სამი კომისია, რომლებშიც გამოჩენილი ექსპერტები შევიდნენ. პირველს უნდა გამოეკვლია გზის საფარის მდგომარეობა, მეორეს - შეესწავლა ტრასაზე უსაფრთხოების მიზნით მიღებული ზომები, მესამეს კი გაეანალიზებინა დამტვრეული მანქანის პარამეტრები. ორი თვის განმავლობაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ „ვილიამსის" საჭე მანამდე გატყდა, ვიდრე მანქანა კედელს შეეჯახებოდა.

ავარიამდე რამდენიმე დღით ადრე სენამ მექანიკოსს შესჩივლა, მანქანაში რაღაც არ მომწონსო, მაგრამ კონკრეტულად რა, ვერ მიმხვდარიყო, მისი თქმით, იგრძნობოდა რაღაც უცნაური ვიბრაცია. მექანიკოსებმა ვერაფერი გაუგეს. მიზეზი კი გახდა საჭე, რომელიც ვიბრაციას განიცდიდა იმის გამო, რომ ლითონი ილუნებოდა. სწორედ პილოტი ვიბრაციას გრძნობდა, როცა საჭეს ჰკიდებდა ხელს. ავარიის შემდეგ სამედიცინო ექსპერტიზამ აზრი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ამ საშინელი შეჯახების შემდეგაც კი სენა ცოცხალი გადარჩებოდა, რადგან დარტყმა პირდაპირი კი არ იყო, არამედ 22 გრადუსი კუთხის ქვეშ. საბედისწერო როლი ითამაშა შტანგამ, რომელიც წინა ბორბალთან ერთად მოძვრა. ჩაფხუტი გაუხეთქა, რამაც გამოიწვია ფუძის მოტეხილობა. სამედიცინო დასკვნით, სენა იქნებ გადარჩენილიყო, რადგან, რომ არა თავის ფატალური ჭრილობა, ბრაზილიელს სერიოზულად სხვა არაფერი დაშავებიაო.

ამით მყისვე ისარგებლეს „ვილიამსის" ადვოკატებმა, რომლებმაც სენას სიკვდილი ბედისწერას დაუკავშირეს. მოსამართლე მაურიციო პასარინიმ, რომელსაც ეს პროცესი მიჰყავს, უნდა დაკითხოს „ვილიამსის" გუნდი, მფლობელის ფრენკ ვილიამსისა და კონსტრუქტორ პატრიკ ჰედის ჩათვლით. მოსამართლე მძიმე არჩევნის წინაშე დგას - ან საქმე არქივში უნდა „დამარხოს" ან პროცესს მსვლელობა მიეცეს და დამნაშავენი დაისაჯონ.



„მოსკოვსკიე ნოვოსტი" № 46

## „სპარტაკი" ირწმუნება, ქრთამი არ აგვიღიაო

საფრანგეთში გრძელდება სკანდალი საფეხბურთო ქრთამის თაობაზე. ამ სკანალში მარსელის „ოლიმპიკიც" არის გარეული. კლუბის ყოფილმა გენერალურმა დირექტორა ჟან პიერ ბერნესმა დაკითხვაზე აღიარა, რომ იყიდებოდა საფრანგეთის ჩემპიონატის თამაშები და საერთაშორისო შეხვედრებიც, მათ შორის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური მატჩები მოსკოვის „სპარტაკთანო". საქმე ეხებოდა 1991 წლის 10 აპრილის მოსკოვის მატჩს, მაშინ „სპარტაკმა" 1:3 წააგო.

— ფეხბურთელებს ბრალს სდებენ, თითქოს რაღაც დათმობაზე მიდიოდნენ, ეს მტკნარი სიცრუეა, - განაცხადა „სპარტაკის" ხელმძღვანელმა ნიკოლაი სტაროსტინმა, - ის თამაშები მოწინააღმდეგის მიმართ დიდი სიმკაცრით გამოირჩეოდა; „ოლიმპიკი" მშვენიერ ფორმაში იყო. ჩვენ თავდაუზოგავად ვიბრძოდით, რათა პირველად მოვხვედრილიყავით თასის ჩემპიონთა ფინალში. იქნებ, მსაჯები ტყუოდნენ? ფეხბურთელებს კი ნურაფერს დააბრალებთ.

90 ათასი მაყურებელი სტაროსტინს დაეთანხმა, მას ემხრობიან ფრანგი კრიმინალისტებიც - ბერნესმა ეს ბრალდება მოიგონა, რათა დაეფარა მარსელის კლუბში შემავალი არაოფიციალური თანხებიო.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 125

## მალე ღორის გული ადამიანის ორგანიზმში ამუშავდება



ადამიანის ორგანიზმში ღორის გულის გადანერგვა გიჟის ბოდვას ჰგავს, მაგრამ ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მკვლევარები თავიანთ თავს სავსებით ნორმალურებად მიიჩნევენ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ამ სახის საკმაოდ უცხო, უცნაური ოპერაციების ჩატარება. დიუკელ მეცნიერთა ჯგუფი, დოქტორ ჯეფრი ფლეტის ხელმძღვანელობით, მუშაობს ღორის გენეტიკური სტრუქტურის შეცვლაზე, რის შედეგად ბაბუინის იმუნური სისტემა ღორის ორგანიზმმა თითქმის საკუთარივით შეითვისა. ფლეტის თქმით, ორ წელიწადში ღორის გულს ადამიანს გადაუნერგავს.

სხვადასხვა სახეობის ორგანოთა გაცვლა 1984 წლიდან ინტენსიური გახდა. კერძოდ, ლომა ლინდას უნივერსიტეტის დოქტორმა, ლეონარდ ბეილიმ, კალიფორნიის საავადმყოფოში ბაბუინის გული გადაუნერგა ორი კვირის ბავშვს. სამი კვირის შემდეგ ახალშობილი გარდაიცვალა. ადამიანის ორგანიზმზე ამგვარი ექსპერიმენტის გამო, მით უმეტეს, რომ წარმატების შანსი უმცირესი იყო, ბეილი მკაცრად გააკრიტიკეს.

ადამიანი - დონორების ორგანოების დიდი დეფიციტის გამო მკვლევარები ეძილავენ, სწავლობენ ხერხებს, რომ შესაძლებელი გახდეს ცხოველების ორგანოების ტრანსპლანტაცია. აშშ-ში, 40.000 ადამიანი ელოდება ტრანსპლანტაციას, დონორი მხოლოდ 5.000-ია. 1/5 ილუპება. ერთი სახეობის ორგანოს მეორეში გადანერგვა ჩვეულებრივ, იწვევს უცხო სხეულზე რეციპიენტის სწრაფ რეაგირებას, რაც ცოტა ხანს გრძელდება. რეციპიენტი უცხო სხეულს ებრძვის.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მეცნიერები მუშაობენ ღორის ორგანიზმის გენეტიკური კოდის შეცვლაზე, რაც იმუნოლოგიური თვალსაზრისით მისაღები იქნება ადამიანის ორგანიზმისთვის. ბოლო დროს, ე.წ. ტრანსგენური ცხოველების რიცხვი იზრდება. ფლეტმა და მისმა კოლეგებმა ღორის გული გადაუნერგეს ბაბუინს - გულის მუშაობა 90 წუთი გაგრძელდა. გენეტიკური თვალსაზრისით ბაბუინის და ადამიანის ორგანიზმები ახლოს არიან ერთმანეთთან, ამიტომ ცდებს ჯერ ბაბუინებზე ატარებენ.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი, სანამ ოპერაციებს ადამიანებს ჩაუტარებდნენ, მაგრამ ტრანსპლანტანტი ექიმები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და სჯერათ, რომ მალე გადაჭრიან ტექნიკურ სირთულეებს. შემდეგ კი, პაციენტმა გადაწყვიტოს, რა მოჰყვება მის მკერდში ღორის გულის ფეთქვას.

„თაიმი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარსკვლავთა კონკურსი

პოდიუმის პირველი სიდიდის ვარსკვლავი ნადია აუერმანი ივლისში ჩავა მოსკოვში, „ელიტე“-ს სააგენტოს მოდელების კონკურსზე. სააგენტო „რედ სთარზ“-ის, „ელიტე“-ს მოსკოვის წარმომადგენლობა უკვე მეხუთედ აწყობს სილამაზის დღესასწაულს და გამოცდილებით იციან, რომ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება ძალზე ძნელია. შარშან გაიმარჯვა 15 წლის ნატაშა სემანოვამ.

„კოსმოპოლიტენი“

## სინდი და შესანიშნავი შვიდეული

ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, სუპერმოდელებისთვის შარშანდელი წელი საკმაოდ ხვავრიელი გამოდგა. უდიდესი წარმატება თანსდევდა 28 წლის სინდი კროუფორდს, მან 1994 წელს 6,5 მილიონი დოლარი იშოვა, უმთავრესად ტელეშოუ „ჰაუზ ოფ სთაილ“-ის წამყვანობით, პეპსი კოლა-ს რეკლამაში მონაწილეობით, კაუ ჯეველერ-ის და რევლონ-ის ფირმებთან კონტრაქტებით. გაეცანით იმ შვიდ სუპერმოდელს, რომლებმაც შარშან 2 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავეს:

1. კლაუდია შიფერი 24 წლის 5,3 მლნ. დოლარი
2. კრისტი ტერლინგტონი 26 წლის 3,0 მლნ. დოლარი
3. ლინდა ევანჯელისტა 29 წლის 3,0 მლნ. დოლარი
4. ელე მაქფერსონი 30 წლის 3,0 მლნ. დოლარი
5. იზაბელა როსელინი 42 წლის 2,3 მლნ. დოლარი
6. კეიტ მოსი 21 წლის 2,2 მლნ. დოლარი
7. ნაომი კემპბელი 24 წლის 2,1 მლნ. დოლარი

„კოსმოპოლიტენი“ 1995 წ.

## ტოლოკონიკოვს შარიკოვობა მობეზრდა

„ძაღლის გულის“ შემდეგ ვლადიმირ ტოლოკონიკოვი ბარე ოც ფილმში გადაიღეს, მაგრამ დღემდე, ქუჩაში ხალხი ერთმანეთს მისკენ ახედებს - შეხედე, შარიკოვი მოდისო. უკვე მოპბეზრდა მსახიობს. - არ ვარ, ბატონო, შარიკოვი, ტოლოკონიკოვი ვარ. მესმის, რომ ეს სიმბოლოა, მაგრამ მთელი სიცოცხლე ხომ არ ვივლი ამ იარლიყით?

**კ. - მაინც როგორ მიიღეთ ეს როლი?**

ტ. - ერთხელ ჩვენს თეატრში, ალმა-ათაში, ლოთის როლი შევასრულე, თანაც, ნუ გაიკვირვებთ და, - დოკუმენტურ ფილმში. შემიშვეს ათასი ჯურის ნაძირალასთან, ქურდთან, ნარკომანთან, ლოთთან და თურმე ისე ბუნებრივად განვასახიერე მთვრალი, რომ ცოლის ნათესავებმა კინაღამ ცოლს გამყარეს, ექიმებიც არ იჯერებდნენ, რომ „მათი პაციენტი“ არ ვიყავი, მოკლედ, მსახიობი კი არა, ყველას ნამდვილი ლოთი ვეგონე. სწორედ ეს ფილმი უნახავს „ძაღლის გულის“ მომავალ რეჟისორს და სასინჯ გადაღებებზე მიმიწვია. გამომიძახებდნენ ამ ჩემი ალმა-ათიდან, ჩავიდოდი, დავბრუნდებოდი, ასე - სამგზის, თერთმეტი მსახიობი ვეცილებოდით ერთმანეთს -: კარაჩენცოვი, ჟარკოვი, ნოსიკი... მაგრამ, ალბათ, ჩემი ბედი იყო შარიკოვი..

**კ. - შარიკოვის შემდეგ მაყურებელი აღარ გაგინებივრებიათ როლებით...**

ტ. - უბრალოდ, აქაურები ვერ ნახულობენ ამ ფილმებს, საზღვარგარეთ კი საერთაშორისო პრიზებიც დავიმსახურე, არც ისე ცოტა - 18 თუ 20 პრიზი მოვიპოვე.

ერთი კლასიკური როლი მაქვს, ჩეხოვის მიხედვით, ალბათ შარიკოვის შემდეგ პირველია, ისე, ასარჩევად არა გაქვს საქმე, მატერიალური მარწუხი გიჭერს, იძულებული ხარ, ყველა როლს დასთანხმდე და ზოგჯერ ისეთს შემოგაჩეჩებენ, გული გერევა, მაგრამ თამაშობ. - ყველა გადაღებიდან რაც ქონება დამრჩა, ეს არის - ტელევიზორი, ავეჯი, რამდენიმე ოქროს ბეჭედი... 7 ათასი მანქანისთვის გადავინახე, რომელიც ინფლაციამ ათ ცენტად მიქცია.

**კ - მოსკოვში გადასვლა არ გიცდიათ?**

ტ - არავის მივუწვევივარ. მე ვიცნობ მსახიობებს, ერთ როლს ითამაშებენ და უმალ მოსკოვისკენ გაექცევათ თვალი, მათ რიცხვს არ ვეკუთვნი, თუ ოფიციალურად ბინასაც და სამსახურსაც შემომთავაზებენ, დავფიქრდები, ისე რა მნიშვნელობა აქვს, სად იმუშავებ?

**კ - პოპულარულობისათვის ხომ მოსკოვი სჯობს?**

ტ - ხომ ხედავთ, ალმა-ათაში ვცხოვრობ, მაგრამ მთელი ქვეყანა მიცნობს. ისე ერთიც უნდა გითხრათ - უცხოეთში ვარსკვლავებს კიდევ მეტ ბრწყინვალებას მატებენ, ჩვენთან პირიქით - აქრობენ, ამიტომ დავრჩი მეც ისე სხვათაშორის „მოვარსკვლავო ციმციმად“ - ადამიანად ცხოვრება მენატრება - მოგინდება-შეხვალ, რესტორანში, დალევ, მიირთმევ, ახლობლებს მიიპატიჟებ, სინამდვილეში კი რა ხდება? ჩახვალ სადმე და ტაქსის ფულიც არა გაქვს, პირი განზე მიგაქვს, რომ არავინ გიცნოს...



„კომსომოლსკაია პრავდა“ № 122

## მალე დაიწყება მოსკოვის კინოფესტივალი

როსკომკინოში გაიმართა მოსკოვის I საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც 17-28 ივლისს გაიმართება. განახლებული ფესტივალის პრიზები წმინდა გიორგის სახელობისაა. მთავარი პრიზი (ნაწილდება რეჟისორსა და პროდიუსერს შორის) 50 ათასი დოლარია, დანარჩენი კი ოც-ოცი ათასი დოლარი. ფესტივალის პრეზიდენტის სერგეი სოლოვიოვის თქმით. ფულადი პრემიები „დაზღვევის“ მიზნით დააწესეს, ორგანიზატორებს სურდათ ფესტივალში მონაწილეთათვის დამატებითი სტიმული შეექმნათ. კონკურსი საკმაოდ წარმომადგენლობითია (რუსეთიდან „რა მშვენიერი თამაშია“ - რეჟ. პ. ტოდოროვსკი), საინფომაციო ჩვენების დროს დემონსტრირებული იქნება წინა წლების გახმაურებული ფილმები: კუბური „მარწყვი და შოკოლადით“ დაწყებული, - თეო ანგელოპულოსის „ულისეს შეხედვით“ დამთავრებული.

ჟიურის შემადგენლობაში, (რომელსაც რიჩარდ გირი მეთაურობს) შედიან ლიდია ფედოსეევა-შუკშინა, აურელიო დე ლაურენტისი, ირჟი მენცელი, ოთარ იოსელიანი, ლასლო კოკაჩი, კონრად პილი, ჯერომ პელმანი, დევიდ რობინსონი. PIRPRESS-ის ჟიურით არ იმუშავებს, მაგრამ თავის წარმომადგენლებს გამოგზავნის. მოსკოვის ფესტივალის ისტორიაში მას პირველად ეწვევა ჰოლივუდის უცხოური პრესის და ასოციაციის დელეგაცია - ცნობილი პრიზის GOLDEN GLOBE-ს დამწესებული. უცხოელ სტუმართა შორის არიან - ანიეს ვარდა, მაქსიმილიან შელი, ბეატა ტიშკევიჩი, დანიელ ოლბრიხსკი, ტონინო გუერა და კინემატოგრაფისტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. ფესტივალის დევიზია „სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს“.

„კომერსანტ დეილი“ № 125

## „აპოლონ-13“ 25 წლის შემდეგ

ამერიკის ეკრანებზე გამოვიდა რეჟისორ რონ ჰაუერდის ფილმი „აპოლონ-13“, რომელშიც მოთხრობილია 1970 წლის დრამატული მოვლენები, როცა ამერიკელმა კოსმონავტებმა უარი თქვეს მთვარეზე გადასხდომაზე ტექნიკური გაუმართაობის გამო, რაც მათ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა. ფილმის სანახავად მიწვეულმა კოსმონავტებმა თქვეს, რომ მაშინ მომხდარი ახლა თავიდან განიცადეს. ერთ კვირაში ფილმის გაქირავებით სარეკორდო თანხა შეგროვდა 38,5 მილიონი დოლარი; მალე შემოსავალი ალბათ 100 მილიონსაც მიაღწევს. ზოგიერთი მიმომხილველი თვლის, რომ „აპოლონ-13“-ში ერთ-ერთი კოსმონავტის როლის შემსრულებელს ტომ ჰენკსს სასწაულის ჩადენაც კი შეუძლია, თუ „ოსკარს“ ზედიზედ მესამედ არ მიიღებს, ნომინაციაში მაინც მოხვდება.

„კომერსანტ დეილი“ № 126

## კობზონის ვაჟი იოსიფ კობზონისა და პიერ კარდენის რესტორანს ხსნის

კრემლის სიახლოვეს გაიხსნა რესტორანი „მაქსიმი“, რომელის პატრონები პიერ კარდენი და იოსიფ კობზონი არიან, რესტორანი ორი დღე ცნობილ სტუმრებს მასპინძლობდა.

პირველ დღეს პატივი თავად ბატონმა ლუჟკოვმა, გოსდუმის დეპუტატებმა, იოსიფ კობზონმა და კარდენმა დასდეს. მეორე დღე კულტურულ-სპორტულ ბომონდს დაეთმო. ამ დღის „მეუფე“ ანდრეი კობზონი იყო, დიდი კობზონის ვაჟი, „დიდი“ ამ დროს უკვე ნოვოროსიისკში მღეროდა.

„მაქსიმი“ კერძო რესტორანია, მაგრამ წინასწარი ზეიმურობა და პრესაში ფართო რეკლამა არაფრით ჩამოუვარდებოდა პოკლონნაიას მთაზე დღესასწაულის სამზადისს. საპატიო პირი იყო პიერ კარდენი, რომელიც გახდა კიდეც რესტორნის ნათლია - მაქსიმი მისი შერჩეული სახელია.

კარდენი მოსკოვს, უკვე 25-ჯერ ეწვია, ამჯერად მას ახლავს ფრანგი მსახიობი კლერი, მოდელიორი კარგა მობერებულია, მისი ქალბატონი კი - მართლაც რომ თვალწარმტაცია.





მოსკოვის რესტორნის ინტერიერი პარიზის „მაქსიმის“ ინტერიერს იმეორებს. გახსნაზე ხალხმრავლობა, ხმაური, ბევრი ხიზილალა და ფარშირებული ორაგული იყო.

ახალგაზრდა კობზონი ძალიან ჩამოჰგავდა (ან ცდილობდა ამას) მამას. იგი დედის, დისა და საცოლის თანხლებით უძღვებოდა რესტორნის თავყრილობას. ანდრეი ყოველნაირად ცდილობდა, გაექარწყლებინა მამის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ამერიკის ვიზის გაუქმების გამო.

„კომსომოლსკაია პრავდა“ № 122

## ასეთი პუგაჩოვა არ გვინახავს

გამოვიდა ცნობილი სტას ნამინის გასართობი ჟურნალის „სტას“-ის პირველი ნომერი, რომელშიც მოთხრობილია კულტურისა და შოუ-ბიზნესის სიახლეებზე. ყდაზე დაბეჭდილია ალა პუგაჩოვას სურათი. ეს გასაკვირი არ არის - ალა ბორისოვნას უყვარს ფოტოჟურნალისტების წინაშე პოზირება, მაგრამ ამჟამად სუპერ-ვარსკვლავი მოურთავ-მოუკაზმავია, არადა, მოუსურმავ-მოუხატავი ალა არავის უნახავს!

განცვიფრებული მკითხველების კითხვას - ნუთუ, მომღერალი დათანხმდა ამგვარი ფოტოს გავრცელებაზეო, ნამინმა ორაზროვანი ხუმრობით უპასუხა: - პირჩამობანილი პუგაჩოვა ბოროტი განზრახვით არ დამიბეჭდავს, ამ სურათზე ალას იმგვარი იდუმალებით აღსავსე თვალები აქვს, რომ შეიძლება შიგ ჩაიძიროო.

„კომსომოლსკაია პრავდა“ № 123

## დალაი-ლამა 600 წლისაა

ცოცხალი ბუდა 600 წლისა გახდა. თავის დაბადების დღეზე დალაი-ლამა ელოდა ელენა ბონერს, ჰოლივუდის მსახიობ რიჩარდ გირს, რობერტო ბაჯოს, როკ-ვარსკვლავს თინა თერნერს.

600 წელი ცოცხლობს დაილა-ლამას სული ბუდიზმის ჩვეულ წევრთა სხეულებში. უკანასკნელი დალაი-ლამას სხეულში ის 60 წლის წინათ ჩასახლდა. ამ დღეებთან დაკავშირებით ნიუ-დელიში სამდღიანი სამეცნიერო რელიგიური სიმპოზიუმი ჩატარდა. ბუდამ თავისი მე-14 გარდაქმნის ღირსეული სხეული აირჩია. თუმცა, დალაი-ლამამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი დევნილობაში გაატარა, მთელი მსოფლიოს სიმპათია დაიმსახურა განათლებისა და ნიჭის გამო. მისმა გულახდილმა ქადაგებებმა, დაჩაგრულთა თანადგომამ, ძალადობის წინააღმდეგ მოწოდებებმა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. დალაი-ლამა ნობელის პრემიის ლაურეატია მშვიდობისათვის ბრძოლაში.

„კომსომოლსკაია პრავდა“ № 123

## ნიცშეს მელოდიები

უმუსიკოდ ცხოვრება უაზრობააო, - წერდა ფრიდრიხ ნიცშე. იგი ბავშვობიდან ოცნებობდა, ვაგნერზე ცნობილი კომპოზიტორი გამხდარიყო. ბოლო დრომდე ძალიან ცოტა სპეციალისტმა იცოდა, რომ ნიცშე მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდა. ბევრმა ეს მხოლოდ 1976 წელს, დიდი ფილოსოფოსის მუსიკის კომპაქტ-დისკის ჩაწერის შემდეგ გაიგო. მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები პირველად ჯონ ბელ იანგმა შეასრულა - 14 სოლო და ორიც ოთხი ხელისათვის კონსტანს კონთან ერთად. იანგი ფიქრობს, რომ ნიცშეს ქმნილებების შესრულება ვიოლინოს თანხლებით სჯობს.

ნიცშეს საფორტეპიანო ნაწარმოებები მოკლეა (1-2 წუთიანი) დაწერილია 1862 წელს, მაშინ იგი 17 წლისა იყო და შუბერტისა და შუმანის გავლენა ეტყობა. შემდგომ მისი მუსიკა უფრო დაიხვეწა. 1871-73 წწ. უმთავრესად ორი ფორტეპიანოსთვის წერდა, მათში ლისტისა და ვაგნერის ზეგავლენა იგრძნობოდა. ნიცშე მელოდიებს წერდა პოემებისათვის, რომლებსაც თავად თხზავდა ან სხვა გენიოსებს ესესხებოდა.

„თაიმი“



## თაობათა დაპირისპირება

მამათა და შვილთა პრობლემას ივან ტურგენევი ძალზე ინტელიგენტურად განიხილავდა. დრონი იცვალნენ, შეიცვალა უფროს-უმცროსის ურთიერთობა, თავაზიანობა, პატივისცემა ხშირად სალექსიკონო სიტყვებად რჩება...

მოსკოვის გარეუბანში, ვახშმობისას მამა და ქალიშვილი წაკამათდნენ. ეტყობა, 70 წლის მამამ სიტყვა ვერ მოზომა, განაწყენებულმა 50 წლის ქალიშვილმა მოხუცს თავში ჩასცხო და მოკლა.

ვაჟმა დედასთან უსიამოვნება იოლად მოაგვარა - მშობელი მეხუთე სართულის აივნიდან ისროლა.

კიდევ კარგი ტურგენევი არ მოესწრო თავისი სანაქებო ერის ზნედაცემულობას.

„კომსომოლსკაია პრავდა“ № 123

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივლისის ასტროლოგიური კალენდარი




ხელსაყრელი მშვიდი დღე;

პლანეტების გავლენა არახელსაყრელია, მნიშვნელოვანს ნურაფერს წამოიწყებთ.

ნურავის ენდობით, მოგატყუებენ, გაფრთხილდით მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობის დროს;

მიხედეთ პირად ცხოვრებას, იყავით ლაღი ინტიმურ ურთიერთობებში.

მოვლენების მოულოდნელი შემობრუნება, პერსპექტიული წინადადებები;

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული და სხვა წარმატებები;

მოერიდეთ უფროსებთან და იმ ადამიანებთან კონტაქტს, ვისაც თქვენზე დიდი გავლენა აქვთ

სთხოვეთ დახმარება მეგობრებს, ღირსეულ ადამიანებს;

ნუ გასწევთ რისკს, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას;

მოსალოდნელია შენაძენი; ნუ იდავებთ.

კარგი ამბები, მშვენიერი მომავალი, სამხიარულო მოვლენები;

კარგია, თუკი ინიციატივას გამოიჩენთ, შემტევი იქნებით

სარგებლობას მოგიტანთ ხელმძღვანელობასთან, სოლიდურ, ცნობილ პიროვნებებთან ურთიერთობა;

გადასდეთ მოგზაურობა, უარი თქვით ჰიპნოზიორთან, ექსტრასენსთან ვიზიტზე, განმარტოვდით;

გაფრთხილდით კოლეგებთან, ახლობლებთან, მეზობლებთან ურთიერთობას, ნუ იქნებით მეტისმეტად მომთხოვნი.

უარი თქვით სასმელზე; წარმატებას

მოგიტანთ ყოველგვარი მოგზაურობა, მივლინება, გართობა. ძალიან ნუ

გაერთობით პირადი ცხოვრებით, უფრთხილდით იმედის გაცრუებას; სიამოვნებას

მოგიტანთ მაღალ წრეში ტრიალი, რესტორნების პრეზენტაციების პრემიერების მონახულება; მიეახლეთ ბუნებას,

მინებდით სუფთა ჰაერს და მზეს, მოუარეთ თქვენს უმცროს მეგობრებს - ცხოველებს, არც სოფლის მეურნეობაში ჩართვა გაწყენთ.

პრავდა №122

# დიაგნოსტიკი ბორტზე

ამერიკაში გამოიგონეს ავტომობილებიდან გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების გამაკონტროლებელი აპარატი, რომელიც, აგრეთვე, დიაგნოზს სვამს, თუ რისგან არის გამოწვეული გამონაბოლქვის აქტივიზაცია. აშშ-ში გათვალისწინებულია ყოველი ახალი მოდელის ამ სისტემით აღჭურვა.

პორშეს წარმომადგენლობამ პირველმა განაცხადა მოთხოვნა და აღჭურვა კიდეც ამ სისტემით თავისი უახლოესი პორშე 9/1. „აპარატი უკავშირდება როგორც



ძრავას, ასევე სამუხრუჭე სისტემას და მთელ ელექტროგაყვანილობას. უწესრიგობის შემთხვევაში მაშინვე გადაეცემა მძღოლს ინფორმაცია, თუ რამ გამოიწვია ხარვეზი, „ეს კი მყარი გარანტიაა იმისა, რომ ავტომობილი მუდამ წესრიგში იყოს“ - თვლის პორშეს წარმომადგენლობა.

ევროპელები კი რატომღაც ჯერ კიდევ ყოყმანობენ. გერმანიის ისეთი ძლიერი ფირმებიც კი როგორიცაა BMW, VV, MERSEDES- და AUDI ალბათ დამატებით ხარჯებს თუერიდებიან. გერმანელი ეკოლოგების აზრით ავტომობილების ამ სუპერგიგანტ ქვეყანაში 40 მილიონზე მეტი მანქანა გამოყოფს მავნე ნივთიერებებს და გარემოს საფრთხეს უქმნიან.

# კროსვორდი




**თარაზულად:**

3. რუსი ფერმწერი, პეიზაჟისტი; 6. ისტორიული ოლქი აზიაში, ჰიმალაისა და ტიბეტის საზღვარზე; 10. მედიცინაში და ტექნიკაში გამოყენებული ნივთიერება; 11. ქალი, დედაკაცი (ძველი ტერმინი); 12. ჩეჩნეთის სახელმწიფო სიმბოლიკაზე გამოსახული ცხოველი; 13. შემქმნელი; 14. რაც ზევიდან ვარდება; 15. კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი; 17. სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობა; 19. მახრჩობელა გველი; 22. ის, ვინც ფარისევლობით, ცრუ დაპირებებით გავლენას ახდენს შეუგნებლებზე; 25. ხუროთმოძღვრული ძეგლი აღმოსავლეთ საქართველოში; 26. ყველის ამოყვანის შედეგ დარჩენილი სითხე; 31. ლატვიის პრეზიდენტი; 32. რადიო „თავისუფლების“ რუსული რედაქციის თანამშრომელი; 34. ძველი სასაუბრო ტერმინი ქვეყნიერების, მსოფლიოს აღსანიშნავად; 35. ქალაქი ჩინეთში; 36. ჯარისკაცი თურქეთში; 37. პატივმოყვარეობა; 38. კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა;

**შვეულად:**

1. საგნის გარეგნული მოხაზულობა; 2. სისხლძარღვი; 4. მცირე ხმა; 5. ერთ-ერთი რელიგია; 6. საპალნიანი საკიდარი ცხოველები, უპირატესად აქლემები; 7. ერთ-ერთი უახლოესი ნათესავი; 8. ხვლიკის მსგავსი ცხოველი - ქცევით უპრინციპო პოლიტიკოსს რომ გვაგონებს; 9. რაც ყველა ბავშვს მოსწონს და უყვარს; 16. პერსონაჟი ლ. თაბუკაშვილის პისისა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“; 17. ხეკაკუნა; 18. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; 20. მოლაპარაკესთან ახლოს მყოფი ადგილის, საგნის აღნიშვნელი სიტყვა; 21. პირი, რომელიც თავისი მოღვაწეობით ზეგავლენას ახდენს საზოგადოების შეგნებასა და განწყობილებაზე; 23. დაბრკოლება ბრძოლის საწარმოებლად; 24. ქართველი ესტრადის მომღერალი; 27. მოდების ცნობილი ჟურნალის გამომცემელი; 28. სიტყვა - ბგერითი შემადგენლობით სხვა სიტყვის შესატყვისი, მნიშვნელობით კი მისგან განსხვავებული; 29. პირისახე წინიდან; 30. საწოლის სახეობა; 33. სპეციალური ფურცელი ცნობების შესაგროვებლად;

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. სტაჟი; 4. ნაილონი; 5. ფიალა; 7. ბორგი; 8. „უსიყვარულოდ“; 13. ფორინტი; 14. ხატწერა; 15. პალმა; 17. სი; 19. პან; 20. სეტერი; 22. ავუარი; 23. ზნე; 24. ძე; 25. იორკი; 28. „კარმენი“; 29. პენალტი; 31. ილუზიონიზმი; 32. ჩვილი; 3. ბოხჩა; 34. კურანტი; 36. ამალა.

**შვეულად:** 1. ეტლი; 2. აჟიოტაჟი; 6. მაყარი; 7. ბოროტი; 9. დიელექტრიკი; 10. ტარტუ; 11. აწყური; 12. წაქაძე; 15. პრიზი; 16. ალაპი; 17. სენაკი; 21. ეჟენი; 26. ბესიკი; 27. სლაიდი; 30. მუსიკა; 32. ჩიხირთმა; 35. ნალი.

გიორგი გასიტაშვილი

## ანონსი
## (კვირის პალიტრა №15)

„როგორც ჩანს, ამ წელიწადში ამიერკავკასიაში დიდი მშვიდობიანობა ვერ დამყარდება... ქართველი ლიდერი პოლიტიკური ვაკუუმის საშიშროების წინაშე დგას. მთელი თავისი უფლებამოსილების ხანა მან იძულებით თანამოკავშირეებთან — კიტოვანთან და იოსელიანთან ბრძოლას შეალია...“

კანონიერი ქურდების ეპისტოლარული ჟანრი.

„ყველა საქმე სინდისიერად გაარჩიეთ, არ დაუშვათ სისხლისღვრა და სისასტიკე, ეს ჩვენთვის მიუღებელია, საერთო უბედურება ის არის, რომ გათიშულები ხართ, შეჰქმენით ერთი საერთო ოჯახი, ჰაერივით გჭირდებათ“.

დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთებიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე. პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რაც შემთხვევაში მასალა შემოკლებით დაიბეჭდება.

სარედაქციო კოლეგია

მისამართი: ბაქოს ქ. №6. ტელ: 36-71-50

სარეგისტრაციო № 1518

გაზეთი გამოდის სამშაბათობით

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კორპორაცია „მაღლაის“ კომპიუტერულ ცენტრში